



კოალიცია თანასწორობისთვის
საქმიანობის ანგარიში

2015 - 2016



„კოალიცია თანასწორობისთვის“ არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ხელშეწყობით შეიქმნა და შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“, „იდენტობა“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, კავშირი „საფარი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფი (WISG)“ და „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“. კოალიციის მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა.

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

კოალიცია თანასწორობისთვის
საქმიანობის ანგარიში

აპრილი 2015 - ოქტომბერი 2016

სარჩევნი

შესავალი	6
ანგარიშის მოკლე მიმოხილვა.....	7
დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით	11
დ.ბ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ	11
გ.ბ. ლ.გ.-ს წინააღმდეგ.....	12
კ.ნ. ქალაქ ბათუმის მერიისა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (ბათუმის დელფინარიუმის)“ წინააღმდეგ.....	13
ს.ქ. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ	14
საქართველოს მოქალაქეები (.....) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ	15
მ.კ. შპს „TAXICALLCENTRE“-ის წინააღმდეგ	16
„არტ პალასი“	18
დისკრიმინაცია რასის და კანის ფერის ნიშნით	19
მ.ჩ. თბილისის 130-ე საჯარო სკოლის წინააღმდეგ.....	19
დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიშნით	21
ლ.თ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ.....	21
საია ბათუმის საკრებულოს წინააღმდეგ.....	22
ა.ლ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ	23
საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაცია.....	25
გ.ც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ.....	25
სოფელ ვეძათხევის მცხოვრებთა საქმე.....	26
ვ.ჩ. საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ	28
საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ	29
პოლიტიკური შეხედულების ნიშნით დისკრიმინაცია	31
შალვა გოგოლაძე ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ	31
თეონა ჭალიძე თბილისის ისნის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ	32
ირაკლი კვარაცხელია თბილისის მერიის წინააღმდეგ	34
გიორგი ხაბურზანია თბილისის მერიის წინააღმდეგ.....	35
გ.ბ. თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის წინააღმდეგ.....	36
ნ.ბ. ააიპ „ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ წინააღმდეგ.....	37
ფ.ჩ. ააიპ „ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ წინააღმდეგ	39
ნინო ანდრიაძე თბილისის მერიის წინააღმდეგ	40
თ.უ. თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის წინააღმდეგ	41
თ.მ. შპს „ჭერმესის“ წინააღმდეგ	42

სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია.....	43
ლამის კლუბში გვი წყვილის მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაციული მოპყრობა	43
ვეგანური კაფე „კივის“ პერსონალის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა	44
„სისი ლოუნის“ დისკრიმინაციული რეკლამა	45
შოთა კიკნაძე (მომჩინვანის სახელი შეცვლილია) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოთარ ლუდუშაურის სახელობის კლინიკის ფსიქიატრიული განყოფილების და ტაქსის მძღოლის წინააღმდეგ	46
დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით	49
კავშირი „საფარი“ ტელეკომპანია „ტაბულას“ წინააღმდეგ, ქალის სხეულზე განთავსებული სუში, გადაცემა „რესტორანი“	49
თ.ს. შ.რ.-ს წინააღმდეგ.....	50
კაცისთვის ბავშვის მოვლის გამო შევბულების უფლების არარსებობის კონსტიტუციურობის შემოწმება	51
თ.თ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ	52
დისკრიმინაცია ქონებრივი მდგომარეობის ნიშნით	54
კ.ნ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და თბილისის მერიის წინააღმდეგ	54
დისკრიმინაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე	56
თ.გ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ	56
დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით	58
შ.გ. საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებას“ წინააღმდეგ.....	58
შეხვედრები საქართველოს სახალხო დამცველთან	60
„კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობები	61
ტრენინგები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით	61
„კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრების კვალიფიკაციის ამაღლება.....	62
„კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრების მიერ წარმოებული საქმეებიდან მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები	63
მორალური ზიანი	63
სასამართლოსთვის მიმართვის ვადა	64
ადმინისტრაციული კოლეგიისთვის მიმართვისას საქმის გაყოფის ან სამოქალაქო კოლეგიისთვის გადაცემის საკითხი	65
სასამართლოს მეგობარი	66
მტკიცების ტვირთი	68
დისკრიმინაციული შევიწროება	69
რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებებს.....	70

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანების – „კოალიცია თანასწორობისთვის“ – საქმიანობის რიგით მეორე ანგარიშია, რომელიც 2015 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში კოალიციის მიერ განხორციელებულ საქმიანობას მიმოიხილავს. დოკუმენტში დეტალურად არის განხილული თანასწორობის მოქმედი მექანიზმების – სახალხო დამცველისა და სასამართლოს – წინაშე კოალიციის მიერ წარდგენილი საქმეები. ამ საქმეების ანალიზი დისკრიმინირებული ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობასა და მექანიზმების საქმიანობის ეფექტიანობის საკითხს აფასებს.

2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. თუმცა, თანასწორობის მოქმედი მექანიზმების – სახალხო დამცველისა და სასამართლოს – მანდატი, კომპეტენციები და პროცედურები საკმარისად ქმედითი არ არის, რის გამოც ახალი მექანიზმების ამუშავებამ ვერ უზრუნველყო თანასწორობის კუთხით მკვეთრი პოზიტიური ცვლილებების მიღწევა. სახალხო დამცველის მანდატი კერძო პირების მიერ ჩადენილი დისკრიმინაციის საქმეების განხილვის პროცესში საკმაოდ შეზღუდულია, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების აღსრულება კი არ არის უზრუნველყოფილი ეფექტიანი სამართლებრივი ინსტრუმენტებით. დისკრიმინაციის საკითხებზე მოსამართლეების ცოდნა და მგრძობელობა დაბალია, რაც ასევე აისახება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებაზე. სახალხო დამცველის არაერთი განცხადებისა და პარლამენტის წევრების მიერ გაკეთებული საჯარო დაპირებების მიუხედავად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში ვერ განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც თანასწორობის მექანიზმებისთვის ეფექტიან ინსტიტუციურ და პროცედურულ გარანტიებს შექმნიდა.

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეუძლებია თანასწორობის მხარდამჭერი სისტემური პოზიტიური პოლიტიკა, რაც, მათ შორის, ეთიკის კოდექსებისა და შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზიას და სიძულვილის ენის გამოყენების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის გარანტიებს უზრუნველყოფდა. ამასთან, მთავრობას არ დაუგეგმავს თანასწორობის მხარდამჭერი თანმიმდევრული საინფორმაციო და საგანმანათლებლო პოლიტიკა.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება და ასეთი დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის არარსებობა. დისკრიმინაციული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიების პრობლემა საზოგადოებაში დაუსჯელობასა და მტრობაზე დაფუძნებულ გარემოს ქმნის არადომინანტი ჯგუფებისთვის. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, სამართალდამცავ ორგანოებს არ გააჩნიათ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგია, ინსტიტუციური გარანტიები (მათ შორის, სპეციალიზირებული საპოლიციო სამსახურები), გადამზადების პროგრამები, მსხვერპლის დაცვასა და ნდობაზე დაფუძნებული პოლიტიკა. პოლიტიკოსების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების მზარდი შემთხვევები, ასევე ქსენოფობიური, ჰომოფობიური პოლიტიკური ინიციატივები სიძულვილით მოტივირებულ ძალადობას ახალისებს და მტრულ გარემოს ქმნის დისკრიმინირებული ჯგუფების მიმართ.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე ინტენსიური საჯარო დისკუსიებისა და ხელისუფლების მიერ დეკლარირებული მხარდამჭერი პოზიციების მიუხედავად, ქალთა თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით გადადგმული ნაბიჯები სუსტი და არათანმიმდევრულია. ლგბტ თემი

ქვეყანაში ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფია და პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან ლგბტ უფლებების პოლიტიზების პირობებში, თემის მიმართ მკვეთრად მტრული და ჰომოფობიური გარემო იქმნება. რელიგიური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა ბოლო წლებში გაუარესდა და 2016 წელს ეს ტენდენცია კვლავ შენარჩუნდა. ხელისუფლების არასეკულარული და დისკრიმინაციული პოლიტიკა არადომინანტ რელიგიურ ჯგუფებს რიყავს პოლიტიკური და სოციალური სივრციდან და მათ ხშირად რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობებს ართმევს. ბოლო წლებში, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო შესუსტდა. ულტრამემარჯვენე ჯგუფების მობილიზებისა და რადიკალიზების პირობებში მიმდინარე წელს ეთნიკური იდენტობისა და რასის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის მიმე შემთხვევები დაფიქსირდა. სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, უსახლკარო ადამიანების თანასწორობის ხელშეწყობისთვის განხორციელებული გარკვეული ღონისძიებების მიუხედავად, დაწყებული რეფორმები სუსტი და ფრაგმენტულია. ამ ჯგუფების ჩაგვრა უხილავია და ნაკლებად არის პოლიტიკურ დღის წესრიგის პრიორიტეტი.

ანგარიშის მოკლე მიმოხილვა

„კოალიცია თანასწორობისთვის“ არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ხელშეწყობით შეიქმნა და შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“, „იდენტობა“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, კავშირი „საფარი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)“ და „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“. 2016 წელს, კოალიციის თავმჯდომარე ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ იყო. კოალიციას გააჩნია საქმიანობის სტრატეგია, წესდება და წევრების მიღების დადგენილი წესი და პროცედურები. დაარსების დღიდან კოალიციის მუშაობას მხარს უჭერს ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, რომელიც ამავდროულად კოალიციას სამდივნოს ფუნქციას ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ კოალიცია 2014 წლის აპრილში, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღების პროცესში ჩამოყალიბდა და მისი არსებითი მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება, კომპეტენციების გაზრდა და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღებამ კოალიციის დღის წესრიგში ახალი ამოცანები დააყენა და ის არსებითად დისკრიმინაციის საქმეებზე პროგრესული სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და თანასწორობის მექანიზმების საქმიანობაში სისტემური ხარვეზების გამოვლენასა და გამოსწორებაზეა ორიენტირებული.

სახალხო დამცველსა და სასამართლოში მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვა კოალიციის წევრ ორგანიზაციების უმთავრეს მიმართულებად იქცა. კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების გამოცდილების, ექსპერტიზისა და სამიზნე ჯგუფთან მჭიდრო კომუნიკაციის გათვალისწინებით, კოალიციის თითოეული წევრი დისკრიმინაციის სხვადასხვა ნიშანზე მუშაობს, რაც მათ კონკრეტულ თემაზე სპეციალიზირებული და სისტემური კვლევისა და ანალიზის შესაძლებლობას აძლევს. კერძოდ, კოალიციის ფარგლებში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მუშაობს რასისა და ეთნიკური კუთვნილების ნიშანზე, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ – პოლიტიკურ ნიშანზე, „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ – შეზღუდული შესაძლებლობის, საცხოვრისის არ ქონისა და რელიგიურ ნიშანზე, კავშირი „საფარი“ – გენდერულ ნიშანზე, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)“ და „იდენტობა“ სექსუალური ორიენტა-

ციისა და გენდერულ ნიშანზე, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“ – შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და ბავშვთა მიმართ დისკრიმინაციის საქმეებზე.

ანტიდისკრიმინაციულ კანონის საფუძველზე კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში 36 საქმეზე მოამზადეს განცხადება/სარჩელი (კავშირი „საფარი“ – 7 საქმე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – 2 საქმე, EMC – 9 საქმე, „იდენტობა“ – 1 საქმე, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ – 10 საქმე, PHR – 7 საქმე). სახალხო დამცველის აპარატში წარდგენილია 16 განცხადება (კავშირი „საფარი“ – 4 საქმე, „იდენტობა“ – 1 საქმე, EMC – 4 საქმე, PHR – 7 საქმე) სასამართლოში კი შეტანილია 26 სარჩელი („საფარი“ – 3 საქმე, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ – 10 საქმე, EMC – 4 საქმე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – 2 საქმე, PHR – 7 საქმე¹).

წინამდებარე ანგარიშში შედის კოალიციის ფარგლებში წევრი ორგანიზაციების მიერ შეტანილი 36 საქმის დეტალური მიმოხილვა.² საანგარიშო პერიოდში კოალიციის წევრებმა აწარმოეს შეზღუდული შესაძლებლობის (7 საქმე), მოქალაქეობის (3 საქმე), რასის (1 საქმე), საცხოვრებელი ადგილის (4 საქმე), პოლიტიკური ან სხვა შეხედულების (10 საქმე), ჯანმრთელობის მდგომარეობის (1 საქმე), ქონებრივი მდგომარეობის (1 საქმე), გენდერის (4 საქმე), სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის (4 საქმე), რელიგიის ნიშნით (1 საქმე) დისკრიმინაციის საქმე.

საანგარიშო პერიოდისთვის, 1-ლი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობდა 14 საქმე, მეორე ინსტანციის სასამართლოში და უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობდა 2-2 საქმე. სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია და საბოლოო გადაწყვეტილება შევიდა ძალაში 2 საქმესთან დაკავშირებით. 1 საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ აღადგინა პირი თანამდებობაზე, თუმცა არ დაადგინა დისკრიმინაცია.

კოალიციის წარმოებაში არსებულ საქმეებზე ამ დროისთვის სახალხო დამცველმა გამოსცა 7 რეკომენდაცია/ზოგადი წინადადება; 4 საქმეზე კი სახალხო დამცველმა საქმის წარმოება შეწყვიტა.

საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობს 3 დავა, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან აქტების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კოალიციამ გამართა ტრენინგები მოსამართლეებისა და ჟურნალისტებისთვის, ასევე საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის.

კოალიცია რეგულარულ სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრებს მართავდა სახალხო დამცველთან და აქტიურად მონაწილეობდა სახალხო დამცველის მიერ ინიცირებული საკანონდებლო წინადადების მომზადებისა და საკომიტეტო მოსმენების პროცესში. კოალიციის მიერ ასევე მომზადდა კვლევითი დოკუმენტები და ანგარიშები, რომელთა პრეზენტაციაც 2017 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

1 ზოგიერთი საქმის განხილვა მიმდინარეობდა როგორც სახალხო დამცველის აპარატში, ისე სასამართლოში
2 პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, ანგარიშში ზოგიერთი მომჩივანის ვინაობა გადმოცემულია ინიციალებით (სახელისა და გვარის პირველი ასოთი). სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის თავში მომჩივანების სახელები და გვარები შეცვლილია. ზოგმა მომჩივანმა თანხმობა გამოთქვა საკუთარი ვინაობის გამჟღავნებაზე.

მიმდინარეობს საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში	მიმდინარეობს საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში	მიმდინარეობს საქმის წარმოება უზენაეს სასამართლოში	მიმდინარეობს საქმის წარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში	საქმეზე დადგინდა დისკრიმინაცია და გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში
1.დ.ბ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ	1.ა.ლ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვიტა სამინისტროს წინააღმდეგ	1.ნინო ანდრიძე თბილისის მერიის წინააღმდეგ	1.კაცისთვის ბავშვის მოვლის გამო შევებულების უფლების არარსებობის კონსტიტუციურობის შემოწმება	1.კ.ნ. ბათუმის დელფინარიუმის წინააღმდეგ
2.ს.ქ. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ	2. კ.ნ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ	2. გიორგი ხაბურზანია თბილისის მერიის წინააღმდეგ	2. ვ.ჩ. საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და ჯანდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ	2. ირაკლი კვარაცხელია თბილისის მერიის წინააღმდეგ
3.საქართველოს მოქალაქეები ჯანდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ	3. გ.ბ. ლ.გ-ს წინააღმდეგ		3. თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ	
4.ლ.თ. თბილისის საკრებულოს წინააღმდეგ				
5.გ.ბ. თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის წინააღმდეგ				
6.ნ.ბ. ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წინააღმდეგ				
7.ფ.ჩ. ქ.თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს წინააღმდეგ				
8.თ.უ. თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის წინააღმდეგ				
9.თ.მ. შპს „ჰერმესის“ წინააღმდეგ				
10.გ.ც. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ				
11.თ.ს. შ.რ.-ს წინააღმდეგ				
12.თ.თ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ				
13. მ.ჩ. 130-ე სკოლის წინააღმდეგ				
თ.ჭ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ				

სახალხო დამცველმა გამოსცა რეკომენდაცია/ზოგადი წინადადება	მიმდინარეობს საქმის წარმოება სახალხო დამცველთან	სახალხო დამცველმა შეწყვიტა საქმის წარმოება
1. საია ბათუმის საკრებულოს წინააღმდეგ	1. კავშირი „საფარი“ ტელეკომპანია ტაბულას წინააღმდეგ	1. შ.გ. საპატრიარქოს ტელევიზია ერთსულოვნებას წინააღმდეგ
2. თ.გ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ	2. ვეგანური კაფე „კივის“ პერსონალის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა	2. მ.კ. შპს „TAXICALLCENTRE“-ის წინააღმდეგ
3. სისი ლოუნის დისკრიმინაციული რეკლამა		3. შოთა კიკნაძე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოთარ ლუდუშაურის სახელობის კლინიკის ფსიქიატრიული კლინიკის და ტაქსის მძღოლის წინააღმდეგ
4. არტპალასი		4. სოფელი ვეძათხევის მაცხოვრებლების საქმე
5. დ.ხ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ		
6. გ.ბ. ლ.გ.-ს წინააღმდეგ		
7. ლამის კლუბში გეი წყვილის მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაციული მოპყრობა		

სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თუმცა სასამართლომ არ დაადგინა დისკრიმინაცია
 შალვა გოგოლაძე ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ

დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით

ეროვნული კანონმდებლობა და საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები კრძალავს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალში შეზღუდული შესაძლებლობა პირდაპირ არ არის მოხსენიებული. საქმეში „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობა, როგორც დიფერენცირების შესაძლო ნიშანი, არ არის მოთავსებული კონსტიტუციის მე-14 მუხლის ჩამონათვალში და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრული დიფერენცირების შესაძლო ნიშანი, თუმცა, მოცემულ საქმეში სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებებიდან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შესაძლებელია წარმოადგენდნენ „სოციალურ ჯგუფს“, რაც, თავის მხრივ, დისკრიმინაციის კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს.

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის“ მე-2 და მე-5 მუხლების თანახმად, კონვენციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს შეზღუდულ შესაძლებლობას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს.

დ.ხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ

საქმე ეხება ეტლით მოსარგებლე შშმ პირისთვის პოლიციელების მხრიდან საბარგულიდან ეტლის გადმოტანის საშუალების არ მიცემას.

საქმე მომზადებულია „პარტნიორობა ადამიანის უფლებისთვის (PHR)“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: დ.ხ. არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც ეტლით სარგებლობს. დ.ხ. თავის სამ მეგობართან ერთად ავტომობილით გადაადგილდებოდა. საპატრულო პოლიციამ, მძღოლის სიმთვრალის გადამოწმების მოტივით, ავტომანქანა გააჩერა. დ.ხ.-ს მეგობრები გადავიდნენ მანქანიდან, მეგობრების მსგავსად დ.ხ.-საც სურდა ავტომობილის დატოვება, თუმცა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მას ამის საშუალება არ მისცეს. პოლიციელებმა ეტლის საბარგულიდან ამოღება დ.ხ.-ს მეგობრებსაც აუკრძალეს. იმის გამო, რომ დ.ხ.-ს არ მიეცა ავტომანქანის დატოვების შესაძლებლობა, იგი იძულებული გახდა, ბუნებრივი მოთხოვნილება მანქანაში დაეკმაყოფილებინა. დ.ხ. რამდენიმე საათის განმავლობაში იჯდა სველ მდგომარეობაში.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 14 სექტემბერი

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული თანასწორობის უფლება. კერძოდ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა არ მისცეს მოსარჩელეს შესაძლებლობა საკუთარი ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სხვების მსგავსად დაეტოვებინა ავტომობილი. პატრულ ინსპექტორებმა ასევე დაარღვიეს დ.ხ.-ს კონსტიტუციური უფლება ღირსების პატივისცემაზე. ის ფაქტი, რომ პირი საბაზისო მოთხოვნის

დაკმაყოფილებისას სხვა ადამიანებზე და მათ ნებაზე არის დამოკიდებული, მოცემულ შემთხვევაში პატრულ-ინსპექტორების ნებაზე, თავისთავად დამამცირებელია და იწვევს ღირსების შელახვას. ღირსების უფლებასთან ერთად, მოსარჩელეს დაერღვა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ქცევის თავისუფლებას და ინდივიდის პირად ავტონომიას. ამასთან, გადაადგილების საშუალების შეზღუდვით, პატრულ-ინსპექტორებმა დაარღვიეს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი მიმოსვლის უფლება.

ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი გახდა პირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლი, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

მოთხოვნა: დ.ხ-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა, ასევე მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 7000 ლარის ოდენობით.

შედეგი: საქმის წარმოება მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით არსებობს სახალხო დამცველის რეკომენდაცია. სახალხო დამცველმა დაადგინა დ.ხ.-ს მიმართ პირდაპირი დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

გ.ბ. ლ.გ.-ს წინააღმდეგ

საქმე ეხება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე

საქმე მომზადებულია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: გ.ბ. არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი. გ.ბ.-ს დედამ საცხოვრებელი ფართი დაიქირავა. თანხის სრული დაფარვა ხდებოდა ნაძალადევის გამგეობის მიერ. საცხოვრებელი ფართის დაქირავების დროს, გამქირავებელი ინფორმირებული იყო ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ. მესაკუთრეს ამასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამს. ნაქირავებ ფართში გადასვლის დღეს, ბავშვმა ღამით იტირა, რადგან მას უჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება. მსგავსი შემთხვევა განმეორდა შემდეგ დღესაც. ბინაში გადასვლიდან მე-ნ დღეს, გამქირავებელმა განუცხადა დედას, რომ არ სურდა ბავშვის ტირილის მოსმენა, დაუბრუნებდა თანხას, სანაცვლოდ კი ბინა დაუყოვნებლივ უნდა დაეცალა. დედამ უარი განაცხადა ბინის დაცლაზე, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ლ.გ.-მ აიძულა ოჯახი დაეტოვებინათ დაქირავებული ბინა. გამქირავებელი ბავშვს მოიხსენიებდა, როგორც ავადმყოფს და დაჟინებით ითხოვდა, ავადმყოფ ბავშვს დაეტოვებინა მისი სახლი.

აღნიშნულ ფაქტს ესწრებოდა მოსარჩელის ახლობელი, რომელიც გამოვლენილი აგრესიისა და დისკრიმინაციისგან დაცვის მიზნით, დაუკავშირდა სახალხო დამცველის აპარატს, მედიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს. შექმნილი მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, ასევე გამოძახებული იქნა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟიც. კონფლიქტური სიტუაციის გამო, გ.ბ.-ს განუვითარდა მძიმე ემოციური სტრესული რეაქცია და დაეწყო თვითდაზიანების სიმპტომი. მოპასუხის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების დისკრიმინაციულ საფუძველზე მოშლამ გამოიწვია არასრულწლოვნების, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის, ჯანმრთელობის საგრძნობი გაუარესება.

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტისას დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებული თანასწორობის უფლება. კერძოდ, მოსარჩელის დედასთან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა იმ მოტივით, რომ გ.ბ. არის აუტისტური სპექტრის მქონე, წარმოადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა გამქირავებელს შეუძლია მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას. მოცემულ შემთხვევაში, ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის პატივსადები მიზეზი არ არსებობდა, ვინაიდან მესაკუთრის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის რეალური მიზეზი ბავშვის შესაძლებლობის შეზღუდვა იყო.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 5 იანვარი

მოთხოვნა: დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა, მოპასუხის მხრიდან მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

შედეგი: პირველი ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ხელშეკრულება დისკრიმინაციული საფუძვლით მოშალა. სასამართლომ ასევე ჩათვალა, რომ სტერეოტიპული შეხედულება აუტისტი ბავშვის მიერ ქონების დაზიანების შესაძლებლობის შესახებ ვერ ჩაითვლება განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმურ მიზნად. სასამართლომ მოპასუხეს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მოსარჩელისთვის 1 000 ლარის გადახდა დაავალა. მოპასუხემ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო პირველი საქმე კერძო პირის წინააღმდეგ ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის შექმნის შემდეგ საქართველოში. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველსაც. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმის გარემოებები, დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი და რეკომენდაციით მიმართა გამქირავებელს.

კ. ნ. ქალაქ ბათუმის მერიისა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (ბათუმის დელფინარიუმის)“ წინააღმდეგ

საქმე ეხება ბათუმის დელფინარიუმის მიერ შპს პირებისთვის მაღალი ტარიფის დაწესებას.

საქმე მომზადებულია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ბათუმის დელფინარიუმი, რომელიც ეკუთვნის ბათუმის მერიას, კატეგორიულად ყოფდა დელფინებთან ინტერაქციის მსურველებს. ფასების აბრაზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, 16 წლის ასაკიდან ზემოთ პირებისთვის დელფინებთან ინტერაქცია 150 ლარი იყო, ხოლო შპს პირებისთვის – 160.

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი და საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას

და უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორ სარგებლობას. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველი მუხლი ჩამოთვლის სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნებს, მათ შორის შეზღუდულ შესაძლებლობას. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, წვერი სახელმწიფოები კრძალავენ შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებულ ყველანაირ დისკრიმინაციას და ამ უკანასკნელის საფუძველის მიუხედავად, უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვების თანაბრად, მისგან ეფექტური იურიდიული დაცვით. საქართველო, როგორც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციის ხელშემკვერელი მხარე, ვალდებულია ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულყოფილი და თანასწორი სარგებლობა და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემა.

მოცემულ შემთხვევაში, განსხვავებული ფასების დაწესებით სახელმწიფო არ უზრუნველყოფდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მომსახურების თანასწორ პირობებში მიღების უფლებას.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2015 წლის 4 აგვისტო

მოთხოვნა: დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა.

შედეგი: სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განსხვავებული ტარიფების არსებობა ცნო დისკრიმინაციულად და მიუთითა, რომ განსხვავებულ მოპყრობას არ ჰქონდა გონივრული გამართლება. მოპასუხე მხარეს გადანყევტილება არ გაუსაჩივრებია და იგი შევიდა კანონიერ ძალაში. ამჟამად ტარიფებს შორის არ არის განსხვავება.

ს.ქ. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის შესაბამისი სახელმწიფო სერვისის არ არსებობას, როგორც დისკრიმინაციას.

საქმე მომზადებულია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: ს. ქ. არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი. ქვეყანაში არ არსებობს მის საჭიროებაზე მორგებული რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისი, რის გამოც მას უწევს საზოგადოებისგან განცალკევებით ცხოვრება. ს.ქ.-ს მარტოხელა დედას უწევს ბავშვზე 24 საათიანი მეთვალყურეობა, რის გამოც მან დაკარგა სამსახური და ოჯახი აღმოჩნდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. შესაბამისი სერვისის არარსებობიდან გამომდინარე, ბავშვი დგას ინსტიტუციაში მუდმივი მოთავსების საფრთხის წინაშე.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 20 ივნისი

სამართლებრივი დასაბუთება: ს.ქ.-ს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დაერღვა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ჯანმრთელობისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ირღვევა ს.ქ.-ს განათლების უფლება, ბავშვს ასევე არ ეძლევა შესაძლებლობა, ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბავშვის იზოლირება საზოგადოებისგან ასევე ღირსების შემლახველია. „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი და საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით პირის დისკრიმინაციას. გაეროს შშმ პირთა კონვენციის მეხუთე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, წვერი სახელმწიფოები კრძალავენ შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებულ ყველანაირ დისკრიმინაციას, სახელმწიფოს განუსაზღვრავენ ვალდებულებას, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ეფექტური სამართლებრივი დაცვა სხვების თანაბრად.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარდგენის მოთხოვნით, ორგანიზაციამ სახალხო დამცველს მიმართა.

მოთხოვნა: დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა, ახალი პროგრამის შემუშავება და კონსტიტუციით გარანტირებული ჯანმრთელობის, განათლების, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებების შელახვით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

შედეგი: მიმდინარეობს სარჩელის განხილვა სასამართლოში.

საქართველოს მოქალაქეები (.....) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ

საქმე ეხება უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის ჯანდაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდების ხელმისაწვდომობას.

საქმე მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდები არ არის ადაპტირებული უსინათლო/მცირემხედველი პირებისათვის, რის გამოც მათ ეზღუდებათ დასახელებულ ელექტრონულ წყაროზე წვდომის შესაძლებლობა, განსხვავებით იმ ადამიანებისაგან, რომელთაც არ გააჩნიათ უსინათლობისა და მცირემხედველობიდან გამომდინარე შეზღუდული შესაძლებლობები. მოსარჩელიდან ერთი წარმოადგენს უსინათლო, ხოლო მეორე – მცირემხედველ პირს. მათი ახსნა-განმარტებით, ვებგვერდები მათთვის არ არის ადაპტირებული, ვებგვერდებს შორის მცირე სხვაობების გათვალისწინებით. მოპასუხის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის მიხედვით ვებგვერდის ტექსტი და ფერთა გამა მცირემხედველთა მიერ აღქმადია. რეალურად ის მაინც ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების პირველი რიგის მოთხოვნებს (A). სპეციალური წამკითხველი პროგრამები კითხულობს მთლიანად ტექსტს და არა მის ქვემენიუებს. მოპასუხე მხარეს შესაბამისი უზრუნველყოფითი ღონისძიებები ვებგვერდის ტექსტის აღქმადობის გასაუმჯობესებლად არ გაუტარებია.

სამართლებრივი დასაბუთება: ჯანდაცვის სამინისტროს ვებგვერდი არ არის ადაპტირებული უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის, რაც არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის უფლებას. უსინათლო და მცირემხედველ ადამიანებს ეზღუდებათ დასახელებულ ელექტრონულ წყაროსთან წვდომის შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს მათ განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე უმოქმედობით ახდენს მითითებული პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას. განსხვავებული მოპყრობის საფუძველზე ირღვევა ინფორმაციის თავისუფლად მიღების, პიროვნული თვითრეალიზაციის, ღირსების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებები. მოსარჩელე სარჩელის წარდგენისას ეყრდნობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ქმედების განხორციელების თაობაზე სასამართლოსთვის სარჩელის წარდგენის სამართლებრივ საფუძველს ქმნის. მოსარჩელე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363 სექუნდა მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომელიც იძლევა პირის მიერ დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტის ან/და მისი შედეგების აღმოფხვრის მოთხოვნის საფუძველს. განგრძობადი ხასიათის დისკრიმინაციულ ქმედებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე სასამართლომ არ უნდა იხელმძღვანელოს კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადით, ვინაიდან მოსარჩელები ყოველდღიურად განიცდიან უმოქმედობაში გამოხატული ამგვარი ქმედებისგან მომდინარე უარყოფით შედეგებს.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 20 ივნისი

მოთხოვნა: უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის ვებგვერდების ადაპტირება და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

შედეგი: სარჩელის წარდგენის შემდგომ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განიხილა საქმის განსჯადობის საკითხი და საქმე სრულად გადასცა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განსახილველად. საქმე განხილვაშია და გადაწყვეტილება არ მიღებულა.

მ.კ. შპს „TAXICALLCENTRE“-ის წინააღმდეგ

საქმე ეხება ეტლით მოსარგებლე შპმ პირისთვის ტაქსის მომსახურებაზე უარის თქმას.

საქმე მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ეტლით მოსარგებლე მ.კ.-ს, დაახლოებით, 1 წლის მანძილზე (2013 წლის გაზაფხულიდან 2014 წლის შემოდგომამდე) უმეტეს შემთხვევაში (დაახლოებით, 10 გამოძახებიდან 8-ჯერ) შეზღუდულ შესაძლებლობაზე მითითების შემდეგ სატრანსპორტო მომსახურების მიღებაზე შპს „TAXICALLCENTRE“ ავტომატურად უარს ეუბნებოდა მომსახურების განწევაზე. თუკი მოსალოდნელი უარის თავიდან ასარიდებლად, განმცხადებლის მხრიდან შეზღუდულ შესაძლებლობაზე ყურადღების გამახვილება მომსახურების განწევაზე თანხმობის შემდეგ მოხდებოდა, ოპერატორი შეკვეთას გამოძახების კვადრატში ავტომანქანის არყოფნაზე, გამოძახების დიდ რაოდენობაზე აპელირებით აუქმებდა ან მიზეზის აუხსნელად წყვეტდა სატელეფონო კავშირს. ასეთ შემთხვევებში, განმცხადებელი ყოველთვის სთავაზობდა, რომ

გონივრული დროის განმავლობაში (დაახლოებით 20-30 წუთი) დაელოდებოდა მანქანის გათავისუფლებას, რაზეც ოპერატორი არასდროს თანხმდებოდა და აგრესიულად ასრულებდა საუბარს.

მ.კ.-ს გადაადგილებისას ყოველთვის თან ახლდა დედა, რის გამოც, არასოდეს, მას დამატებითი მხარდაჭერა სხვა პირის მხრიდან არ სჭირდებოდა.

სახალხო დამცველისთვის მიმართვის თარიღი: 2015 წლის 13 მარტი

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა არახელსაყრელ მოპყრობას, კერძოდ განცხადებაში მითითებულ პერიოდში, იგი ვერ ახერხებდა საჯაროდ შეთავაზებული მომსახურებით სარგებლობას, რაც თავის მხრივ, ხელს უშლიდა საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უფლებების რეალიზებაში, მათ შორის დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და პირადი ცხოვრების უფლებების განხორციელებაში. პრაქტიკა, რომელსაც ადგილი ჰქონდა განმცხადებლის მიმართ, არასახარბიელო იყო ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით (კერძოდ, ნებისმიერ პირთან შედარებით, რომელიც ეტლით არ სარგებლობს). ამგვარი არასახარბიელო მოპყრობა განპირობებული იყო შეზღუდული შესაძლებლობით და არ არსებობდა ამ პრაქტიკის გონივრული და ობიექტური გამართლება.

განმცხადებელი მიუთითებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციაზე“ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მე-2 ზოგად კომენტარზე, რომელიც მისაწვდომობის ქრილში აღიარებს როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებების მიერ საჯაროდ შეთავაზებული მომსახურების დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფის ვალდებულებას. ამასთან, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა უკიდურეს შემზღუდველ ფორმას, ვინაიდან ტრანსპორტისა და ქალაქის არაადაპტირებულობის გათვალისწინებით, ტაქსი ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფი ერთადერთი საშუალებაა.

მოთხოვნა: განმცხადებელი სახალხო დამცველს სთხოვს, დაადგინოს, რომ შპს „TAXICALLCENTRE-ის“ მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა განგრძობითი დისკრიმინაციის პრაქტიკას, დისკრიმინაციის მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით მოამზადოს რეკომენდაცია და საკუთარი ინიციატივით მოამზადოს ზოგადი წინადადება ტაქსის მომსახურების მომწოდებელი სუბიექტების მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე.

შედეგი: 2015 წლის 18 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები იმყოფებოდნენ მოპასუხე ტაქსის კომპანიის ოფისში, სადაც აღნიშნული კომპანიის დირექტორისა და ერთ-ერთი ოპერატორის გამოკითხვა მოახდინეს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა 2015 წლის 19 ივნისს ზეპირი მოსმენა გამართა. მხარეებს განემარტათ მორიგების შესაძლებლობის თაობაზე, თუმცა მორიგება არ მომხდარა. სახალხო დამცველის განმარტებით, განმცხადებლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა, რომ მას დისკრიმინაციული მოტივით არ უწევდნენ მომსახურებას ან აიძულებდნენ, ტაქსის მომსახურებისათვის არაგონივრულად მაღალი ტარიფი გადაეხადა.

„არტ პალასი“

საქმე ეხება სპორტის სასახლეში გამართული პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე შშმ პირებისთვის დასწრების შესაძლებლობას.

საქმე მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: 2015 წლის 12 თებერვალს, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამო, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ მიეცათ დასწრების საშუალება. სახალხო დამცველმა საქმის შესწავლა საკუთარი ინიციატივით დაიწყო. მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, EMC-მ საქმეში მესამე პირად ჩართვა მოითხოვა, რაზედაც თანხმობა მიიღო. EMC-მ საქმესთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება წარადგინა.

სახალხო დამცველისთვის მოსაზრების წარდგენის თარიღი: 2015 წლის 11 მარტი

სამართლებრივი დასაბუთება: EMC-ის მოსაზრებით, 2015 წლის 12 თებერვალს ადგილი ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დისკრიმინაციას. მოპასუხის მიერ არახელსაყრელი მოპყრობა გამოიხატა მომსახურების არაჯეროვნად შესრულებასა და განმცხადებლის მიერ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვაში. მოხდა ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაში ჩარევა, დაირღვა: მისაწვდომობის უფლება, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უფლება, კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის უფლება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. მოცემულ საქმეში მოპყრობა არასახარბიელო იყო სხვა ჯგუფებთან შედარებით. კერძოდ, კომპარატორი იყო ნებისმიერი ადამიანი, რომელიც არ სარგებლობდა ეტლით. მოცემულ საქმეში განსხვავებულ მოპყრობას არ ჰქონია გონივრული და ობიექტური გამართლება, არ არსებობდა ლეგიტიმური მიზანი. ამასთან, დაირღვა მისაწვდომობის სტანდარტი.

შედეგი: სახალხო დამცველმა გაიზიარა EMC-ის არგუმენტები და გამოსცა რეკომენდაცია „არტ პალასის“ მიმართ.

დისკრიმინაცია რასის და კანის ფერის ნიშნით

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რასისა და კანის ფერის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, რასა კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს. რასის ნიშნით დიფერენცირების შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გამოიყენებს „მკაცრი შეფასების“ ტესტს (მოპასუხემ უნდა დაასაბუთოს, რომ დიფერენცირება ემსახურება მწვავე და დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესის დაკმაყოფილებას), თუნდაც არსებითად თანასწორთა შორის განსხვავებული მოპყრობის ინტენსივობა მაღალი არ იყოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და მე-12 დამატებითი ოქმის პირველ მუხლშიც, რასისა და კანის ფერის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა პირდაპირ არის გათვალისწინებული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებით გამოყო რასის ნიშანი. საქმეში „ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რასის ნიშნით დისკრიმინაცია „განსაკუთრებით შემაშფოთებელი“ დისკრიმინაციის სახედ მიიჩნია. ამის გამო, თუკი განსხვავებული მოპყრობა ხდება ამ ნიშნით, სახელმწიფოს შეფასების ზღვარი ვიწროა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთმანეთისგან განასხვავა რასობრივი და ეთნიკური ნიშანი. ევროპულმა სასამართლომ რასასთან დაკავშირებით საქმეში „სედჩი და ფინჩი ბოსნია-ჰერცეგოვინას წინააღმდეგ“ განაცხადა: „რასის იდეა ეფუძნება ადამიანების ბიოლოგიური ნიშნით განსხვავებას. რასის ნიშნით სხვადასხვა ჯგუფებად ადამიანების კლასიფიკაცია ხდება ისეთი მორფოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, როგორცაა კანის ფერი და სახის აგებულება.

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 1999 წლის 16 აპრილს მოახდინა. აღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკისრება ვალდებულება, ხელი არ შეუწყოს, არ დაიცვას, მხარი არ დაუჭიროს რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ განხორციელებულ რასობრივ დისკრიმინაციას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი, რასას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს, პირდაპირ ითვალისწინებს.

მ.ჩ. თბილისის 130-ე საჯარო სკოლის წინააღმდეგ

საქმე ეხება შავკანიანი მოსწავლის მიმართ რასისტული ტერმინების გამოყენებას სკოლის ტერიტორიაზე და სკოლის ადმინისტრაციის უმოქმედობას.

საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: მ.ჩ. იყო 130-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე. იგი თანაკლასელებისა და სკოლის სხვა მოსწავლეების მხრიდან ხშირად ხდებოდა რასობრივი ნიშნით შევიწროების მსხვერპლი. კლასელმა მას „ზანგო“ დაუძახა. აღნიშნულის შესახებ იცოდა მ.ჩ.-ს დამრიგებელმა. მას ჰქონდა კლასელების შერიგების მცდელობა, თუმცა მისი მხრიდან გატარებული ღონისძიებები ეფექტური

არ აღმოჩნდა. დამრიგებელმა არ აუხსნა მოსწავლეებს რასიზმის და მისი მავნებლობის შესახებ. მისი მხრიდან, აქცენტი მ.ჩ.-ს ქართულ წარმომავლობასა და ცნობილ წინაპარზე გაკეთდა. თანასკოლელების მხრიდან მ.ჩ.-ს მიმართ ხშირად ხდებოდა რასისტული ტერმინების გამოყენება. 2015 წელს, კონფლიქტის დროს, კლასელმა მ.ჩ.-ს მიმართა, წადი შენს აფრიკაში, შენი ადგილი ცივილიზაციაში არ არისო. კონფლიქტს შეესწრო ერთ-ერთი მასწავლებელიც, თუმცა მან კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად, ორივე მოსწავლე კლასიდან გაუშვა. სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს რასისტული შევიწროების ფაქტზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. საბოლოოდ, მომხდარმა ფაქტმა მ.ჩ.-ს აიძულა, გადასულიყო სკოლიდან, რადგან მიხვდა, რომ ასეთ მტრულ გარემოში სწავლას ვეღარ განაგრობდა. მ.ჩ.-ს დედის, რ.ა.-ს მხრიდან ახსნა-განმარტებების მოთხოვნის შემდეგ, სკოლის ადმინისტრაციამ აქცენტი მ.ჩ.-ს აკადემიურ მოსწრებაზე გააკეთა და მ.ჩ.-ს შევიწროების ფაქტების მიმართ სკოლის პასუხისმგებლობა არ დაადასტურა.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 8 თებერვალი

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია რასობრივი ნიშნით, ასევე კანის ფერის საფუძველზე, რითიც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული თანასწორობის პრინციპი. რასა და კანის ფერი, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი საფუძველი, გათვალისწინებულია დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველ მუხლში. აღნიშნული კანონი მიუთითებს, რომ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. მოსარჩელე თვლის, რომ მის მიმართ განხორციელებულმა შევიწროებამ მას ხელი შეუშალა განათლების უფლების განხორციელებაში და დაირღვა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მუხლები.

მოთხოვნა: მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

შედეგი: საქმეზე ჩატარდა მთავარი სხდომა და მომავალ სხდომაზე გამოცხადდება გადაწყვეტილება.

დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიშნით

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქალაქეობის ნიშანი. ამის მიუხედავად, მე-14 მუხლი სახელმწიფოზე მაშინაც ვრცელდება, როდესაც დიფერენცირება ხდება კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ნიშნის საფუძველზე. მოქალაქეობის ნიშნით დიფერენცირების შემთხვევაში, სახელმწიფო მკაცრ ტესტს გამოიყენებს მაშინ, როდესაც დიფერენცირების ინტენსივობა მაღალია. იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეობის ნიშნით დიფერენცირებული პირები ერთმანეთს მკვეთრად არ შორდებიან სამართლებრივ ურთიერთობაში თანაბრად მონაწილეობის შესაძლებლობისგან, საკონსტიტუციო სასამართლო რაციონალური კავშირის ტესტს იყენებს.

ლ.თ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ

საქმე ეხება მოქალაქეობის ნიშნით, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმას.

საქმე მომზადებულია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: ლ.თ. არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, რომელსაც აქვს აუტისტური სპექტრი. ლ.თ. და მისი ოჯახის წევრები არიან აზერბაიჯანის მოქალაქეები, თუმცა მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და აქვთ ბინადრობის ნებართვა. ამასთან, ლ.თ. რეგისტრირებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში. ბავშვის დედამ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა შვილის ჩართვა „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ პროგრამაში, რაზეც მას უარი ეთქვა. უარის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ლ.თ. არ არის საქართველოს მოქალაქე. კერძოდ, 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, საკრებულოს დადგენილების თანახმად, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ პროგრამის მოსარგებლებებს წარმოადგენენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედი რეგისტრაციის მქონე საქართველოს მოქალაქეები, 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 14 ივნისი

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელეს მიაჩნია, რომ საკრებულოს დადგენილება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის უფლებას და მოქალაქეობის ნიშნით ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დისკრიმინაციას. კერძოდ, დებულება საქართველოს კანონდებლობით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობისას, ლ.თ.-ს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს იმ ბავშვებთან შედარებით, რომელთაც აქვთ აუტისტური სპექტრი, მაგრამ არიან საქართველოს მოქალაქეები. სადავო დანაწესით, ლ.თ.-ს დისკრიმინაციულად ერღვევა ჯანმრთელობის უფლება, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარებით სარგებლობის უნივერსალურ შესაძლებლობას. ამასთან, საქართველოს კანონის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ დანართის მე-14 მუხლიც კი აკრძალავს დისკრიმინაციას მოქალაქეობის ნიშნით.

მარეობის შესახებ“ საფუძველზე, უცხოელებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის ისეთივე უფლება, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ადამიანისთვის გარანტირებულია საბაზისო უფლებებით, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის უფლებით თანასწორი სარგებლობა. ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობა გარანტირებულია აგრეთვე „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების“ შესახებ გაეროს კონვენციის თანახმად. ბავშვის ჯანმრთელობის უფლების დაცვის მნიშვნელობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია და ბავშვებისთვის აწესებს უნივერსალური დაცვის პრინციპს, კერძოდ, ყველა ბავშვი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ის, თავისუფლად უნდა სარგებლობდეს ყველა გარანტირებული უფლებით, ყოველგვარი განსხვავების მიუხედავად.

შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილება შეიცავს დისკრიმინაციულ დანაწესს მოქალაქეობასთან მიმართებით.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარდგენის მოთხოვნით, ორგანიზაციამ სახალხო დამცველს მიმართა.

მოთხოვნა: დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დანაწესის ბათილად ცნობა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

შედეგი: მიმდინარეობს საქმის წარმოება სასამართლოში.

საია ბათუმის საკრებულოს წინააღმდეგ

საქმე ეხება ქალაქ ბათუმის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს, რომლითაც საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელებისთვის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ვიზიტისათვის განსხვავებული ტარიფია დაწესებული.

საქმე მომზადებულია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის #309 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე #76 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დათვალიერების საფასური საქართველოს მოქალაქეებისთვის განისაზღვრა 3 (სამი) ლარით, სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის 8 (რვა) ლარით.

სახალხო დამცველისთვის მიმართვის თარიღი: 2015 წლის 13 მარტი

აღნიშნული სამართლებრივი აქტი დისკრიმინაციულია, ვინაიდან განსხვავებულ მოპყრობას არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება. დიფერენცირების შეფასებისას სახალხო დამცველმა უნდა გამოიყენოს მკაცრი შეფასების ტესტის მოთხოვნა, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელების მიმართ დადგენილი ტარიფი მნიშვნელოვნად განსხვავებულია და შესაბამისად, უცხოელებს არა აქვს შესაძლებლობა, შეცვალოს ის პირობები, რამაც თანასწორთა შორის განსხვავებული მოპყრობა

წარმოშვა. თუკი ამ სატარიფო პოლიტიკის მიზანი მეტი შემოსავლის მიღებაა, ეს მწვავე და დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესი არ არის. გარდა ამისა, დიფერენცირება შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს რაციონალური კავშირის ტესტის მოთხოვნასაც. თუკი დიფერენცირებას საფუძვლად უდევს არასწორი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოელები, საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით, მატერიალურად უკეთ არიან უზრუნველყოფილნი, შესაბამისად უცხოელებს, საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით, მეტი თანხის გაღების შესაძლებლობა აქვთ კულტურული და რეკრეაციული ობიექტებით სარგებლობისას. ეს არის წინასწარ ჩამოყალიბებული, სტერეოტიპული შეხედულება, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ობიექტურ დასაბუთებასა და რეალისტურობას. მატერიალურად შეძლებული და ხელმოკლე პირები შესაძლოა, იყვნენ როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე უცხოელებიც.

მოთხოვნა: სახალხო დამცველის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის რეკომენდაციით მიმართვა #76-ე განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის მიზნით.

შედეგი: 2015 წლის 3 აპრილს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა ბათუმის საკრებულოს და მოითხოვა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა სპეციფიკურ მიზეზებს ეფუძნებოდა უცხოელებისა და საქართველოს მოქალაქეებისათვის დიფერენცირებული ტარიფების დანესება. საქმეზე გამოიწვია რეკომენდაცია, საჩივარში მითითებული გარემოებები სახალხო დამცველმა სრულად გაიზიარა. სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა უცხოელთა პირდაპირ დისკრიმინაციას, რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში ბალის ცნობადობის და საბუნებისმეტყველო განათლების პოპულარიზაცია შესაძლებელია თანაბარი ტარიფების მეშვეობით. სახალხო დამცველმა რეკომენდაცია დაასაბუთა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე გამოიყენა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. რეკომენდაცია სახალხო დამცველმა გამოსცა მიმართვიდან 5 თვის შემდეგ. რეკომენდაციით, სახალხო დამცველი ითხოვდა საკრებულოს განკარგულებაში ცვლილებების შეტანას. ბათუმის საკრებულომ სახალხო დამცველს გაუგზავნა შუალედური პასუხი იმასთან დაკავშირებით, რომ რეკომენდაცია ბათუმის მერიას გადაეგზავნა. ბათუმის მერიამ სახალხო დამცველს რეკომენდაციის შესრულების პირობა მისცა. საბოლოო ადმინისტრაციული აქტით, როგორც უცხოელებისათვის, ისე საქართველოს მოქალაქეებისათვის, დადგენილ იქნა თანაბარი ტარიფი – 8 ლარის ოდენობით.

ა.ლ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

საქმე ეხება ორმაგი მოქალაქეობის მქონე იძულებით გადაადგილებული პირისთვის საცხოვრებლით დასაკმაყოფილებლად განაცხადის შეფასებაზე უარის თქმას.

საქმე მომზადებულია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ა.ლ. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირია, რომელსაც უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობაც. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მან შეავსო სპეციალური განაცხადი, რაც დევნილი ოჯახის საცხოვრებლით დაკმაყოფილების წინაპირობაა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ა.ლ.-ს წერილით აცნობა, რომ მისი განაცხადი განუხილველი დარჩა, რადგან მას უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად აქვს საქართველოს მოქალაქეობაც. 2015 წლის 13 მარტს საიამ ა.ლ.-ს სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმეში მოპასუხეებად მითითებულნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და საქართველოს მთავრობა.

სამართლებრივი დასაბუთება: იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 თებერვლის #127 განკარგულება, ისევე როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 320-ე ბრძანება, სხვა ქვეყნის მოქალაქე (ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე) დევნილს საცხოვრებლის მიმღებ პირთა წრიდან დისკრიმინაციულად გამოორიცხავდა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ განხორციელდა მისი დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიშნით. დიფერენცირება უნდა შეფასდეს მკაცრი ტესტით, ვინაიდან ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი მთლიანად გამოორიცხულია სამართლებრივი ურთიერთობიდან. ზემოხსენებული ნორმატიული აქტები არ პასუხობდა მწვავე სახელმწიფო ინტერესის მოთხოვნას, ვინაიდან ასეთად ვერ ჩაითვლება საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის ინტერესი, და ვერც ის ადმინისტრაციული სირთულე, რაც დაკავშირებულია იმ ინფორმაციის გადამოწმებასთან, გააჩნია თუ არა პირს საცხოვრებელი ადგილი თავისი მეორე მოქალაქეობის სახელმწიფოში.

მოთხოვნა: მთავრობის 2015 წლის 4 თებერვლის #127 განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მიყენებული მორალური ზიანის 5000 ლარის ოდენობით ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების ნაწილში, მოთხოვნა ეფუძნებოდა იმას, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა საკმარისი საფუძველია მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

შედეგი: სარჩელის წარდგენის შემდგომ, საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეცვალეს გასაჩივრებული ნორმატიული აქტების სადავო მუხლები. გასაჩივრებულ ნორმატიულ აქტებში შესული ცვლილებებით, აღმოიფხვრა დისკრიმინაციული ჩანაწერი. ცვლილებების განხორციელების შემდგომ, სამინისტრომ განიხილა და შეაფასა ა.ლ.-ს განაცხადი საცხოვრებელი ფართის მიღებასთან დაკავშირებით (შეფასების შემდგომ, მან საცხოვრებელი სახლი მიიღო). შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით წარდგენილი მოთხოვნები სასამართლოში მოიხსნა. დავა გაგრძელდა მხოლოდ დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიმართულებით. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს მორალურ ზიანთან დაკავშირებულ მოთხოვნას ისე, თუ მოთხოვნის საგანს აღარ წარმოადგენს თავდაპირველ მოთხოვნებში მითითებული ნორმატიული აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობა. სასამართლომ გადანყვეტილებაში ასევე მიუთითა, რომ დამდგარი ზიანის არსებობა საქმეში არსებული მტკიცებულებებით ვერ იქნა დადასტურებული. გადანყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება, თუმცა, დასაბუთებული გადანყვეტილება ამ დროისათვის არ არის ხელმისაწვდომი.

საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაცია

ეროვნული კანონმდებლობა და საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები კრძალავს დისკრიმინაციას საცხოვრებელი ადგილის ნიშნით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალში საცხოვრებელი ადგილი სიტყვა-სიტყვით არ არის მოხსენიებული.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო პაქტი და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტი საცხოვრებელ ადგილს, როგორც დისკრიმინაციის ნიშანს, სიტყვა-სიტყვით არ მოიხსენიებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციების ეგიდით ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დისკრიმინაცია, შესაძლოა საცხოვრებელი ადგილის ნიშნითაც ხორციელდებოდეს. სამოქალაქო, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვის კომიტეტმა მე-20 ზოგად კომენტარში (დისკრიმინაციის აკრძალვა სამოქალაქო, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით სარგებლობაში) აღინიშნა, რომ „ცალკეული უფლებით სარგებლობა და ფარგლები არ უნდა იყოს პირობითი და დამოკიდებული პირის ამჟამინდელ ან ადრე არსებულ საცხოვრებელზე“.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი საცხოვრებელ ადგილს, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს, პირდაპირ ითვალისწინებს.

გ.ც. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ

საქმე ეხება საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის ნიშნით აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმას.

საქმე მომზადებულია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: გ.ც. არის აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი. გ.ც.-ს მამამ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა მისი შვილის ჩართვა „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ პროგრამაში, რაზეც უარი მიიღო. უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ გ.ც. 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით არ იყო რეგისტრირებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში. კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ პროგრამის მოსარგებლებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით, რომლებიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულნი არიან 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით. გ.ც. კი თბილისში რეგისტრირებულთა სიაში ირიცხება 2015 წლის ოქტომბრიდან, მანამდე იგი ცხოვრობდა და რეგისტრირებული იყო ქ. ქუთაისში, თუმცა იმის გამო, რომ მსგავსი პროგრამა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტში ხორციელდება, ოჯახი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საცხოვრებელი ქალაქი და გადასულიყო თბილისში.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის ივნისი

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელეს მიაჩნია, რომ საკრებულოს დადგენილება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის უფლებას და ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დისკრიმინაციას საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის ნიშნით. კერძოდ, დებულება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობისას არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს გ.ც.-ს იმ ბავშვებთან შედარებით, რომელთაც აქვთ აუტისტური სპექტრი, მაგრამ გარკვეული პერიოდიდან რეგისტრირებულნი არიან თბილისის მუნიციპალიტეტში, მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი უზრუნველყოფს ჯანდაცვის სერვისების ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომობას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი სპეციალური აბილიტაციის სერვისის მიმწოდებელი მთელი ქვეყნის მასშტაბით არის მხოლოდ თბილისისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი. ჯანდაცვის სერვისების ყველასთვის ხელმისაწვდომობაზე საუბრობს როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა. კერძოდ, გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციითა და ეროვნული კანონმდებლობით, ყველა შშმ პირს თავისუფლად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შესაბამის სერვისებზე. ამასთან, გარკვეულ მუნიციპალურ სერვისებთან (მაგ. საბავშვო ბაღები) მიმართებით არ არის აუცილებელი კონკრეტულ მუნიციპალურ ერთეულში რეგისტრაციის ქონა, რაც ნიშნავს, რომ არის შემთხვევები, როდესაც თბილისში რეგისტრაცია და შესაბამისად ცხოვრება არ არის აუცილებელი მუნიციპალიტეტის სერვისით სარგებლობისათვის. შესაბამისად, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ საკრებულოს მიერ დადგენილი კრიტერიუმები შეიცავს პირდაპირი დისკრიმინაციის ნიშნებს და საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის ნიშნით, გაუმართლებლად უზღუდავს საბაზისო უფლებების, ჯანმრთელობის უფლების, რეალიზების შესაძლებლობას. აღნიშნული კი წარმოადგენს აქტის ბათილად ცნობის საფუძველს.

მოთხოვნა: დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა, ქ. თბილისის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კონკრეტული ჩანაწერის ბათილად ცნობა.

შედეგი: საქმე სასამართლო წარმოებაშია.

სოფელ ვეძათხევის მცხოვრებთა საქმე

საქმე ეხება საცხოვრებელი ადგილის ნიშნით სოფელ ვეძათხევის მცხოვრებთა დისკრიმინაციას

საქმე მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: დუშეთის რაიონის სოფლის – ვეძათხევის მოსახლე ოჯახები დაახლოებით 10 წელია სტიქიური უბედურებების გამო სიცოხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ გარემოში ცხოვრობენ. სოფლებში განვითარებულია რთული ხასიათის და ღრმა განლაგების შეუქცევადი მენყერი. გეოლოგიური დასკვნის თანახმად, სოფლის დაცვის მიზნით გასატარებელი ნებისმიერი მენყერსანინალმდეგო ღონისძიება ძალიან ძვირადღირებული იქნება და ამავდროულად, რეალურ შედეგს ვერ გამოიღებს. სოფლამდე მისასვლელი გზა უვარგისია და სოფელი წლის მანძილზე უმეტესწი-

ლად მონყვეტილია გარესამყაროს. მათი საცხოვრებელი სახლები იმდენად არის დაზიანებული, რომ საცხოვრებლად უვარგისია. გზის არარსებობის გამო, სოფლის მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება სამედიცინო დაწესებულებაზე, აფთიაქზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაზე საკვებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით სავაჭრო პუნქტებზე, უსაფრთხოების სერვისებზე, კულტურულ ან სოციალურ დაწესებულებებსა და სხვა სერვისებზე. სოფელს არ მიეწოდება ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია კი – შეფერხებით. სოფელში განათლების მიღებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან წვდომის გამო, ბავშვები გახიზნულნი არიან და მშობლები შვილების ნახვას იშვიათად ახერხებენ. შესაბამისად, ვერ მონაწილეობენ მათ აღზრდაში.

სახალხო დამცველისთვის მიმართვის თარიღი: 2015 წლის 24 თებერვალი

სამართლებრივი დასაბუთება: სოფლის მკვიდრთა მიმართ ადგილი აქვს არახელსაყრელ მოპყრობას, ვინაიდან მათ ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული რიგი უფლებებით სარგებლობაში: კერძოდ, სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუვალობის, განათლების, ცხოვრების სათანადო დონითა და სათანადო საცხოვრისით სარგებლობის, ჯანდაცვისა და სხვა უფლებებით სარგებლობაში. ეს ყველაფერი განპირობებულია მომჩივანთა საცხოვრებელი ადგილით. დიფერენცირებულ მოპყრობას ობიექტური გამართლება არ გააჩნია და ამრიგად, წარმოადგენს დისკრიმინაციას.

მოთხოვნა: განმცხადებელმა (10 ოჯახი) საცხოვრებელი დაკმაყოფილების მიზნით მიმართეს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელ კომისიას (შემდგომში კომისია). განმცხადებელმა, რომელთა მოთხოვნაც არ დაკმაყოფილდა (3 ოჯახი), მიმართეს საქართველოს სახალხო დამცველს და მათ მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მისი აღმოფხვრის მიზნით სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციის მომზადება მოითხოვეს. სახალხო დამცველს აგრეთვე გარესამყაროს მონყვეტილ დასახლებებში მცხოვრები პირების საცხოვრებელი ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხზე საკუთარი ინიციატივით ზოგადი წინადადების მომზადება ეთხოვა.

შედეგი: კომისიამ ალტერნატიული ფართით დააკმაყოფილა დუშეთის რაიონის სოფელ ვეძათხევის 6 და სოფელ ოქრუანის 1 ოჯახი (თითოეულ ოჯახს სახელმწიფო შეუძენს საცხოვრებელ სახლებს 20 000 ლარის ფარგლებში). სახალხო დამცველი საქმის წარმოებისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაეყრდნო განცხადებაში წარდგენილ მასალებსა და დოკუმენტაციას და მათ საფუძველზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. სახალხო დამცველმა მხარეებს მორიგება შესთავაზა, თუმცა საქმე მორიგებით არ დასრულებულა. სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეწყდა წარმოება, რადგან არ დადგინდა საცხოვრებელი ნიშნით დისკრიმინაცია განმცხადებლების მიმართ, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის მითითებით, განმცხადებლებისათვის დასახლებულ ძირითადი უფლებების შეზღუდვა არ ყოფილა გამოწვეული მოპასუხის ქმედებით, არამედ ბუნებრივი მოვლენით – მენყერით. გარდა ამისა, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილება სწორედ განმცხადებლების განსახლების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შესახებ ეფუძნებოდა არა მათ საცხოვრებელ ადგილს, არამედ გარემოებას, რომ მათ გააჩნდათ ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილი, რაც იმავდროულად სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გააჩნდა საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაცია.

ვ. ჩ. საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ

საქმე ეხება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირისთვის სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის ბლანკეტურ შეზღუდვას.

საქმე მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე ვ.ჩ. წარმოადგენს პირს, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ამის გამო მას არ შეუძლია დარეგისტრირდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და მიიღოს საარსებო შემწეობა. კონსტიტუციურ სარჩელში სადავო ნორმებად მითითებული რეგულაციები ცხადად მიუთითებს, რომ მხოლოდ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე ოჯახს შეუძლია დარეგისტრირდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, აგრეთვე მიიღოს საარსებო შემწეობა და ყველა სხვა სარგებელი, რომელიც დასახელებულ ბაზაში რეგისტრაციასთან არის დაკავშირებული. სადავო ნორმებს წარმოადგენს: „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი, მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები; „ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება, მე-4 მუხლი, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი; „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი და „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს N225/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-2 და მე-5 პუნქტები და მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 26 ოქტომბერი

სამართლებრივი დასაბუთება: მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისა და საარსებო შემწეობის გაცემის საკითხთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობა ამ უფლებებს ანიჭებს მხოლოდ იმ ოჯახებს, რომელთაც გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობაში არიან არსებითად თანასწორი პირთა ჯგუფები, კერძოდ ერთი მხრივ პირები, რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და არიან უსახლკარო, მიუსაფარი პირები, ან მუდმივად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს, იმ პირებთან შედარებით, რომელთაც გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. მოსარჩელე მხარის პოზიციით, განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არის არსებითად თანასწორი პირების მიმართ დიფერენცირებული მიდგომა, ვინაიდან როგორც მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე ოჯახებს, რომლებიც შეფასების შემდგომ დააგროვებენ მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისთვის საკმარის სარეიტინგო ქულას, ისე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირებს, გააჩნიათ თანაბარი საჭიროება, მიიღონ სახელმწიფოსგან ის სარგებელი, რაც დაკავშირებულია ბაზაში რეგისტრაციის ფაქტთან. სადავო ნორმები დასახელებული ჯგუფებიდან მხოლოდ ერთს ანიჭებს ამ უფლებებს, რის გამოც ის დიფერენცირებულად ეპყრობა მოსარჩელესა და მის მდგომარეობაში მყოფ პირებს.

დიფერენცირება ხორციელდება საცხოვრებელი ადგილის ნიშნით, გამომდინარე იქედან, რომ სწორედ მუდმივი საცხოვრებლის არქონა წარმოადგენს მათ მიმართ განსხვავებული რეგულაციების არსებობის საფუძველს. ეს ნიშანი წარმოადგენს კლასიკურ, კონსტიტუციის ტექსტში მოხსენიებულ ნიშანს. შესაბამისად, ის უნდა შეფასდეს მკაცრი შეფასების ტესტის გამოყენებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს პროპორციულობის ტესტით სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებას.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებულ შეზღუდვების ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა და ადმინისტრაციული სირთულე, თუმცა თავად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მიზანი ანგარიშგასაწიფი და მნიშვნელოვანია, არ შეიძლება, მარტოდენ ეს არგუმენტაცია დაედოს საფუძვლად ადამიანთათვის კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. სწორედ ამიტომ, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა ვერ იქნება გამართლებული და იგი დისკრიმინაციულია. გარდა კონსტიტუციის მე-14 მუხლისა, მოსარჩელე სადავო ნორმებს ასაჩივრებს აგრეთვე სიცოცხლის, ღირსების უფლებებთან, მიიჩნევს რომ ის ეწინააღმდეგება სოციალური უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების უფლებებს, რაც კონსტიტუციის 39-ე მუხლში უნდა იქნეს ამოკითხული და აგრეთვე სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას.

შედეგი: საქმე საკონსტიტუციო სამართალწარმოების საწყის ეტაპზე და სასამართლოს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე სასახლო დამცველს სასამართლო მეგობრის მოსაზრება არ წარმოუდგენია.

საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

საქმე ეხება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციაზე უარის თქმას.

საქმე მომზადებულია „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: სახელმწიფო საკუთრებაში 2013 წლის 17 მაისის შემდეგ შეჭრილი პირები ვერ რეგისტრირდებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში მაშინ, როდესაც ამ რეგულაციის ამოქმედებამდე ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები ინარჩუნებენ რეგისტრაციას. აღნიშნულ დანაწესს ითვალისწინებს ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის #126 დადგენილების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი. „განაცხადი მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის არ მიიღება, თუ მაძიებელი უკანონოდ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში და ამ ფართის კანონიერი მესაკუთრე არ ეთანხმება ამ ფაქტს, რაც სააგენტოსთვის ცნობილი გახდა კანონიერი მესაკუთრის მომართვის საფუძველზე“.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2015 წლის 3 აგვისტო

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს მთავრობის #126 დადგენილების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც წარმოადგენს სადავო ნორმას, ადგენს, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისთვის განაცხადი არ მიიღება, თუ განმცხადებელი უკანონოდ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში და ამ ფართის კანონიერი მესაკუთრე არ ეთანხმება ამ ფაქტს. ეს რეგულაცია ზღუდავს სახელმწიფოს საკუთრებაში მცხოვრებ პირთა უფლებას, დარეგისტრირდნენ მონაცემთა ერთიან ბაზაში, რითაც განსხვავებულ მდგომარეობაში არიან აღმოჩენილნი ერთი მხრივ იმ ოჯახებთან მიმართებით, ვინც არ ცხოვრობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ფართში, ხოლო მეორე მხრივ ოჯახებთან მიმართებით, რომლებიც მართალია ცხოვრობენ სახელმწიფოს საკუთრებაში, თუმცა 2013 წლის 1 ივნისამდე მიმართეს სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვეს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე ამგვარ რეგულაციას მიიჩნევს დისკრიმინაციულად.

მოთხოვნა: სამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა

შედეგი: საქმეს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო. საქმეზე სახალხო დამცველმა წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა არღვევს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის უფლებას. სახალხო დამცველი საკონსტიტუციო სარჩელს იმ ნაწილში დაეთანხმა, რომელიც შეეხება სადავო ნორმით მოსარჩელის ღირსების შელახვას და აღნიშნა, რომ ბლანკეტურად სოციალურ დახმარებასთან პირთა წვდომის შესაძლებლობის შეზღუდვა შესაძლოა ღირსების უფლების შეზღუდვად იქნეს შეფასებული. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სოციალური დახმარების მიღების უფლებაში არა მხოლოდ ერევა, არამედ სრულიად ზღუდავს მოსარჩელის დასახელებულ უფლებას, ხოლო ასეთი ინტენსივობით შეზღუდვა ვერ იქნება გამართლებული ვერანაირი ლეგიტიმური მიზნით. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არ არსებობს ლოგიკური კავშირი იდენტიფიცირებად მიზანსა და უფლების შემზღუდავ ღონისძიებას შორის.

პოლიტიკური შეხედულების ნიშნით დისკრიმინაცია

საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, პოლიტიკურ და სხვა შეხედულებას დაცულ უფლებათა შორის ჩამოთვლის. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვა სფეროების მსგავსად, „პოლიტიკური ან სხვა შეხედულება“ თავისთავად არის დაცული კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე გამოხატვის უფლებითაც.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშნად ასევე ითვალისწინებს „პოლიტიკურ ან სხვა შეხედულებას“.

შალვა გოგოლაძე ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ

საქმე ეხება პოლიტიკური შეხედულების ნიშნით პირის სამსახურიდან გათავისუფლებას.

საქმე მომზადებულია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: განმცხადებელი პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატიების“ წევრია. მას შემდეგ, რაც 2014 წლის 5 ნოემბერს, „თავისუფალი დემოკრატიების“ ლიდერმა, ირაკლი ალასანიამ, მასმედიის საშუალებებით კოალიცია „ქართული ოცნების“ დატოვების შესახებ განაცხადა, 2014 წლის 18 ნოემბერს, ქალაქ ახალციხის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა რიგგარეშე სხდომის მოწვევა მოითხოვეს. აღნიშნული სხდომის მოწვევა საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სავალდებულო დასაბუთების გარეშე, რეგლამენტის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევით განხორციელდა. რიგგარეშე სხდომის მოწვევის დღის წესრიგში ერთადერთ საკითხად განმცხადებლის თანამდებობიდან გადაყენება იყო განსაზღვრული. მიუხედავად მითითებული დარღვევისა, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხსენებული მოთხოვნა დაკმაყოფილდა და 2014 წლის 21 ნოემბერს გაიმართა შესაბამისი სხდომა. ხმათა უმრავლესობით (10 ხმა 5 ის წინააღმდეგ), განმცხადებელი თანამდებობიდან გადააყენეს, 2014 წლის დეკემბერში კი განმცხადებელმა პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის გამო ახალციხის რაიონულ სასამართლოს მიმართა.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2014 წლის დეკემბერი

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ დაექვემდებარა დისკრიმინაციულ მოპყრობას პოლიტიკური კუთვნილების ნიშნით. ახალციხის საკრებულომ იგი რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის დარღვევით გადააყენა თანამდებობიდან, ვინაიდან რიგგარეშე სხდომის მოწვევისას არ მიუთითეს სხდომის მოწვევის აუცილებლობის დასაბუთება. გარდა ამისა, მოცემულ საქმეში არსებული მოვლენების განვითარების ურთიერთკავშირი აშკარად მიუთითებდა მის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობაზე. თანამდებობიდან მისი გადაყენების ერთდართი საფუძველი სწორედ ის გახდა, რომ პარტია „თავისუფალი დემოკრატიები“ გამოეყო უმრავლესობას და ოპოზიციაში გადავიდა. ამის გამო, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ერთ-ერთ წამყვან თანამდებობაზე ოპოზიციის პარტიის წარმომადგენლის

ყოფნა. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, წარმოადგენს დისკრიმინაციულ ქმედებას, რაც მის შრომით უფლებებს არღვევს.

მოთხოვნა: 2014 წლის დეკემბერში, განმცხადებელმა სარჩელით მიმართა ახალციხის სასამართლოს. მან მოითხოვა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, გაცდენილის ანაზღაურება და დისკრიმინაციული ქმედების დადგენის შემთხვევაში მორალური ზიანის სახით, მოპასუხისთვის 3000 ლარის დაკისრება.

შედეგი: ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით, შალვა გოგოლაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება შალვა გოგოლაძის სამსახურში აღდგენის და განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ იმსჯელა დისკრიმინაციაზე, თუმცა მიიჩნია, რომ დისკრიმინაციის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად მორალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. სასამართლოებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოა და ბუნებრივია, ხდება ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, რაც მისაღებია ერთი მხარისთვის, ხოლო მიუღებელი მეორისთვის. პირველი ინსტანციის სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უმრავლესობის წარმომადგენლებს შეეძლოთ თუნდაც იმით დაესაბუთებინათ შალვა გოგოლაძის თანამდებობიდან გადაყენება, რომ მისი ხედვები ოპოზიციაში გადასვლის შედეგად განსხვავდებოდა უმრავლესობის ხედვებისგან. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით. უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად სცნო საჩივარი, თუმცა გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა და დისკრიმინაციულ მოპყრობად არ მიიჩნია ამ შემთხვევაში შალვა გოგოლაძის თანამდებობიდან გადაყენება ოპოზიციური პარტიის წევრობის გამო.

თონა ჭალიძე თბილისის ისნის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ

საქმე ეხება პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებას

საქმე მომზადებულია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: განმცხადებელი წარმოადგენს პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერს. განმცხადებელი მუშაობდა თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ტერიტორიული ერთეულის ნავთლუდის უბნის განყოფილების უფროსად. 2014 წლის ივნისის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ისნის რაიონს სათავეში ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგა. მართალია, მოხელეების სამსახურებიდან დათხოვნის ამ პერიოდში დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავებით, განმცხადებელისთვის არ მოუთხოვიათ თანამდებობის ნებაყოფლობითი დატოვების შესახებ განცხადების დაწერა, მაგრამ გამგეობის ხელმძღვანელობა ცდილობდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის ყველა წინაპირობის შექმნას.

გამგეობის უშუალო ხელმძღვანელისგან განმცხადებელი იღებდა შრომატევად და ფიზიკურად თითქმის შეუსრულებელ დავალებებს, დროის არაგონივრულად ხანმოკლე პერიოდში შესასრულებლად. თავდაპირველად, შენიშვნის სახით, განმცხადებლის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოიყენეს. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებით კი განმცხადებელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ბრძანების საფუძვლად მიეთითა მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დასკვნა, რომ განმცხადებელი უხეშად არღვევდა სამსახურებრივ მოვალეობებს.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2014 წლის 17 ნოემბერი

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით და თანამდებობიდან მისი გათავისუფლების ერთადერთი მიზეზი სწორედ მისი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებია. გარდა ამისა, მის მიმართ შენიშვნის გამოცხადება დისციპლინური გადაცდომისთვის წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში შეჭრას, ვინაიდან აღნიშნულს საფუძვლად დაედო მასმედიის საშუალებებით გაკეთებული სხვადასხვა საჯარო განცხადება დამსაქმებლის მხრიდან განმცხადებლის უფლებების დარღვევის შესახებ. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა აზრის გამოხატვისა და პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით დისკრიმინაციის შედეგად შრომითი უფლებების დარღვევასა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.

მოთხოვნა: 2014 წლის 29 ოქტომბერს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განმცხადებელმა საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა. 2014 წლის 17 ნოემბერს მან მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შენიშვნის გამოცხადებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, გაცდენილის ანაზღაურება და დისკრიმინაციული ქმედების დადასტურების შემთხვევაში, მორალური ზიანის სახით 3000 ლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

შედეგი: სარჩელი შეტანილ იქნა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააყენა განსჯადობის საკითხი და საქმე დისკრიმინაციის დადგენის ნაწილში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაუგზავნა. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მას არასწორად გადაეგზავნა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის ნაწილში საქმე და რომ ეს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა განეხილა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და ამ საფუძვლით მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი განსჯადობით დაუქვემდებარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. საქმე კვლავ მიმდინარეა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ირაკლი კვარაცხელია თბილისის მერიის წინააღმდეგ

საქმე ეხება პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე პირის სამსახურიდან გათავისუფლებას.

საქმე მომზადებულია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სათავეში მოსული ახალი უფროსისა და მისი მოადგილის მხრიდან, 2014 წლის 5 აგვისტოდან მოყოლებული, განმცხადებელი დაექვემდებარა სავარაუდო დისკრიმინაციულ შევიწროებას. 2014 წლის 18 აგვისტოს, იმავე თანამდებობის პირებმა, განმცხადებელი დაიბარეს და განუცხადეს, რომ ვინაიდან იგი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ გუნდს უჭერდა მხარს, უნდა დაეწერა განცხადება თანამდებობის დატოვების შესახებ, რადგან ახალი პოლიტიკური გუნდისთვის ირაკლი კვარაცხელია მიუღებელი კადრი იყო. აღნიშნულზე განმცხადებელმა უარი თქვა. მას განუმარტეს, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა მეთოდით, მაგრამ ის ნებისმიერ შემთხვევაში მაინც დატოვებდა თანამდებობას. 2014 წლის 18 ოქტომბერს, გადაცემა „კურიერის“ მეშვეობით განმცხადებელმა გაასაჯაროვა ფარული აუდიო ჩანაწერები, რომლებიც მის მიმართ განხორციელებულ ზეწოლასა და შევიწროებას ასახავდა. განმცხადებელმა სატელევიზიო კომენტარში აღნიშნა, რომ მერიაში მიმდინარე მოხელეების გათავისუფლების პროცესებს თბილისის ვიცე-მერი ხელმძღვანელობდა. 2014 წლის 20 ოქტომბერს, თბილისის მერიის შიდა აუდიტის მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება და მეორე დღესვე გამოსცა დასკვნა, რომელშიც მითითებული იყო, რომ თბილისის ვიცე-მერის მიმართ გაკეთებული განცხადება წარმოადგენდა ცილისწამებას. შედეგად, შეილახა თბილისის ვიცე-მერის და თბილისის მერიის რეპუტაცია, რაც სამსახურებრივ მოვალეობათა უხეშ დარღვევას წარმოადგენდა. ამ საფუძველით 2014 წლის 22 ოქტომბერს, გამოიცა თბილისის მერის ბრძანება განმცხადებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2014 წლის 20 ნოემბერი

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობასა და შევიწროებას პოლიტიკური ნიშნით. სარჩელისთვის თანდართული ფარული აუდიო ჩანაწერი, სტატისტიკური ინფორმაცია სამსახურიდან საჯარო მოხელეების მასობრივ დათხოვნაზე, თბილისის მერის საჯარო განცხადება მერიის სამსახურში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დანატოვარი კადრების უმეტესობისგან მერიის სისტემის „განმენდის“ შესახებ ქმნიდა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს, მითითებული ასევე, აზრის საჯაროდ გამოხატვის გამო. განმცხადებლის აზრით, ვიცე-მერის მიმართ გაკეთებული განცხადება, როგორც აზრის გამოხატვა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ამავე კანონით, განმცხადებელი დაცულია, როგორც მამხილებელი. განმცხადებელმა აღნიშნული საჯარო განცხადებით ხელი შეუწყო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ საზოგადოების მაღალი ინტერესის დაკმაყოფილებას. ამდენად, ადგილი ჰქონდა აზრის, გამოხატვისა და პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით დისკრიმინაციას, აზრის გამოხატვის თავისუფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას და შრომითი უფლებების დარღვევას. 2014 წლის 10 ნოემბერს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განმცხადებელმა საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა, თუმცა ხანდაზმულობის ვადის დაცვის მოტივით, რამდენიმე დღეში მიმართა სასამართლოს.

მოთხოვნა: თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდური ხელფასის ანაზღაურება და დისკრიმინაციული ქმედების დადასტურების შემთხვევაში, მორალური ზიანის სახით 5000 ლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

შედეგი: სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა საქმის წარმოება შეაჩერა, ვინაიდან განმცხადებელმა პარალელურად სასამართლოს მიმართა. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ. სასამართლომ საქმე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლის და ახალი აქტის გამოცემის მიზნით, თბილისის მერიას უკან დაუბრუნა. სასამართლომ დისკრიმინაციის ფაქტი არ დაადგინა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება და მათი ერთობლიობის შედეგად, დაადგინა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია. სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა მორალური ზიანის 500 ლარის ოდენობით ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ და მოპასუხე მხარემ გაასაჩივრეს საკასაციო წესით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დისკრიმინაციის მსხვერპლის და თბილისის მეორის საკასაციო საჩივრები დაუშვებლად ცნო.

გიორგი ხაბურზანია თბილისის მერიის წინააღმდეგ

საქმე ეხება პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე პირის სამსახურიდან გათავისუფლებას

საქმე მომზადებულია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: 2009 წლის 1 სექტემბრიდან, გიორგი ხაბურზანია მუშაობდა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ინსპექტირების სამმართველოს ისანი-სამგორის რაიონული განყოფილების მთავარ სპეციალისტად. მუშაობა მან ადგილობრივ თვითმმართველობაში პოლიტიკური ორგანიზაციის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს დაიწყო. 2014 წლის 15 დეკემბრის N 2323 ბრძანებით, გიორგი ხაბურზანია თბილისის მერის ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სამსახურიდან გათავისუფლებას წინ უძღვოდა მის მიმართ დამსაქმებლის და ხელმძღვანელი პირების მიერ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობა და შევიწროვება პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით. გიორგი ხაბურზანიას შევიწროვებას და მის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას საფუძვლად დაედო მისი ზემდგომი თანამდებობის პირების და მისი დამსაქმებლის რწმენა და წარმოდგენები იმასთან დაკავშირებით, რომ იგი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გუნდიდან არის და „სხვა გუნდის“ წარმომადგენლებთან მუშაობა მიუღებელია მერიის ახალი ხელმძღვანელობისთვის. მას ხელმძღვანელი პირები შეპირდნენ, რომ ჩაჭრიდნენ ატესტაციაზე. საატესტაციო კომისიის შემადგენლობას იკავებდა მისი ზემდგომი თანამდებობის პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა დისკრიმინაციულ შევიწროვებას. დისკრიმინაციული შევიწროვების მსხვერპლმა უარი თქვა ატესტაციის გავლაზე, რაც ფორმალურ საფუძვლად დაედო სამსახურიდან მის გათავისუფლებას.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2015 წლის აპრილი

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობასა და შევიწროვებას პოლიტიკური ნიშნით. საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის ფარული აუდიო ჩანაწერი, მაღალი ალბათობით ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ სამსახურიდან მის გათავისუფლებას ჰქონდა დისკრიმინაციული მოტივი. დამსაქმებელს ჰქონდა დაუსაბუთებელი შეხედულება, შიში, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დროს დასაქმებული კადრები საბოტაჟს მოუწყობდნენ ახალ ხელისუფლებას, რის გამოც გაათავისუფლეს მოსარჩელე თანამდებობიდან.

მოთხოვნა: მორალური ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის ოდენობით.

შედეგი: პირველი ინსტანციის სასამართლომ დისკრიმინაცია დადგენილად არ მიიჩნია. სასამართლომ სარჩელის ბედის გადაწყვეტისთვის საკვანძო საკითხად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე ატესტაციაზე არ გავიდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ სწორედ ატესტაციის გავლის შემდეგ იქნებოდა საფუძვლიანი დისკრიმინაციაზე მსჯელობა. ვინაიდან ფორმალურად არ იყო დაცული კანონის მოთხოვნები ატესტაციის გავლასთან დაკავშირებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ სამსახურიდან იგი კანონიერად გაათავისუფლეს. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა წინ უსწრებდა მომჩივანის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების გამოცემას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერი საფუძვლით მისი სამსახურიდან გათავისუფლების პირობებშიც კი, სამსახურიდან გათავისუფლება ვერ ჩაითვლებოდა კანონიერად, რამდენადაც მომჩივანი მანამდე დისკრიმინაციულ მოპყრობას დაექვემდებარა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ატესტაციის არგავლა მხოლოდ ფორმალური საფუძველი იყო მსხვერპლის სამსახურიდან გათავისუფლებისა და დავის სწორად გადაწყვეტისთვის ამოსავალი იყო დისკრიმინაციული მოპყრობა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა. თბილისის მერიამ საკასაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

გ. ბ. თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის წინააღმდეგ

საქმე ეხება ბაღის დირექტორებისა და მოადგილეების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას.

საქმე მომზადებულია “კონსტიტუციის 42-ე მუხლის” მიერ

ფაქტობრივი მდგომარეობა: მოსარჩელე გ.ბ. 2008 წლიდან მუშაობდა ააიპ „თბილისის # საბავშვო ბაგა-ბაღში“, დირექტორის მოადგილის პოზიციაზე. იგი წინა ხელისუფლების დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი იყო. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების და ადგილობრივი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, შეიცვალა ააიპ „თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ ხელმძღვანელობაც. აღნიშნულის შემდეგ, დამსაქმებლის დამოკიდებულება მოსარჩელის მიმართ მკვეთრად გაუარესდა. გავრცელდა ხმები დირექტორის მოადგილის პოზიციის გაუქმების შესახებ, იყო დირექტორის მოადგილეების

ერთიანად სამსახურიდან გათავისუფლების მცდელობაც. ზენოლა გარკვეული დროით შეჩერდა, თუმცა მოკლე ხანში, კვლავ დაიწყო დამსაქმებლის მხრიდან მინიშნებები, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლს საკუთარი ნებით დაეტოვებინა სამსახური, ან გადასულიყო უფრო დაბალ პოზიციაზე. 2016 წლის 22 თებერვალს, დამსაქმებელმა მას შეუწყვიტა უვადო შრომითი ხელშეკრულება. სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად დასახელდა: ა) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან და ბ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი გათავისუფლება პოლიტიკური კუთვნილების ნიშნით მოხდა. იგი თვლის, რომ ის დამსაქმებლისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც წინა ხელისუფლების კადრი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი აქტივისტი და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე თანამშრომელი. მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ააიპ „თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“ თბილისის მერიას ექვემდებარება. გ.ბ. მიუთითებს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოების გამო, მასობრივად მოხდა დირექტორის მოადგილეების დათხოვნა, დამსაქმებლის მხრიდან მათი შერჩევას კი სუბიექტური მიდგომები იკვეთებოდა.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 16 მარტი

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე 2008 წლიდან მუშაობდა # ბაგა-ბაღში, მას ჰქონდა უვადო ხელშეკრულება. მოსარჩელის პოლიტიკური წარსული და დირექტორის მოადგილეების მასობრივი გათავისუფლება ქმნის დისკრიმინაციული ქმედების ჩადენის ვარაუდს. მოპასუხეს ევალეება ამტკიცოს, რომ გ. ბ.-ს კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მაშინ როდესაც იგი ამ თანამდებობას რამდენიმე წელი იკავებდა. მოსარჩელე მიუთითებს, რომ იგი სამსახურიდან მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლდა, მის მიმართ განხორციელდა არახელსაყრელი მოპყრობა. მას მიანიშნებდნენ დაეტოვებინა თანამდებობა ან გადასულიყო უფრო დაბალ პოზიციაზე. გ. ბ. მისმა ხელმძღვანელობამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობასთან“ გააიგივა, რამდენადაც იგი წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდიდან მუშაობდა დაკავებულ თანამდებობაზე.

მოთხოვნა: მოსარჩელე ითხოვს, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრას, რაც გამოიხატება მსხვერპლის სამსახურში აღდგენასა და განაცდური ხელფასის ანაზღაურებაში. ასევე, მორალური ზიანის ანაზღაურებას პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამო.

შედეგი: მიმდინარეობს საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ნ. ბ. ააიპ „ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ წინააღმდეგ

საქმე ეხება პოლიტიკური ნიშნით ბაღის დირექტორებისა და მოადგილეების გათავისუფლებას.

საქმე მომზადებულია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: დისკრიმინაციის მსხვერპლი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორად. 2015 წლის 24 დეკემბერს გარკვეული დარღვევების გამო, ბაღის დირექტორს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ააიპ „თბილისის ბაგა-ბაღების მართვის

სააგენტოს“ მონიტორინგის ჯგუფმა აღნიშნულ საბავშვო ბაღში, 2016 წლის 10 მარტს, მონიტორინგის შედეგად კვლავ აღმოაჩინა დარღვევები. ბაღის დირექტორი 16 მარტს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელესთან დამსაქმებელს დადებული ჰქონდა უვადო ხელშეკრულება. იგი დირექტორის თანამდებობას წინა ხელისუფლების დროსაც იკავებდა. დამსაქმებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა მსხვერპლის პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებას, რამდენადაც ნ.ბ. მათი მმართველობის პერიოდში დასაქმებული კადრი იყო.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 23 ივნისი

სამართლებრივი დასაბუთება: „ბაგა-ბაღების სააგენტო“ წარმოადგენს თბილისის მერიის მიერ დაფუძნებულ არაკომერციულ იურიდიულ პირს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოების ფონზე, გააქტიურდა ააიპ „ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დაქვემდებარებაში მყოფი ბაღების დირექტორების, დირექტორის მოადგილეების სამსახურებიდან მასობრივად დათხოვნების პრაქტიკა. მოსარჩელის აზრით, დამსაქმებელი ცდილობს, მმართველი პოლიტიკური გუნდის მხარდამჭერებით ჩაანაცვლოს ბაღების დირექტორის და მოადგილის პოზიციები, რათა წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს ამ პოზიციებზე დასაქმებული საკუთარი მხარდამჭერები. მოსარჩელე თვლის, რომ მიმდინარე მოვლენები და მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაცია იძლევა გონივრული ეჭვის საფუძველს, რომ სამსახურებიდან დირექტორების გათავისუფლებებში ადგილი აქვს მიკერძოებულ, დისკრიმინაციულ მიდგომებს, პოლიტიკური შეხედულებების გამო. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება დაუსაბუთებელია და გათავისუფლების რეალური მიზეზი მოსარჩელის წინა ხელისუფლების პერიოდში მუშაობას უკავშირდება. მონიტორინგის შედეგად დარღვევების დაფიქსირება მიზნად ისახავდა ნ. ბ.-ს, როგორც დამსაქმებლისთვის მიუღებელი კადრის ხელოვნურად გათავისუფლების ლეგიტიმაციას და დისკრიმინაციული მოქმედების შეფარვას, თითქოს ლეგიტიმური საფუძველი არსებობდა მისი გათავისუფლებისათვის. მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევები არ ყოფილა არსებითი ხასიათის, რომელიც აუცილებელს გახდოდა დირექტორის გათავისუფლებას. დამსაქმებლისთვის მიუღებელი აღმოჩნდა წამყვან თანამდებობაზე არასასურველ პოლიტიკურ გუნდთან („ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“) გაიგივებული პირის ყოფნა. მოსარჩელე თვლის, რომ აღნიშნული ქმნის დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების დასაბუთებულ ვარაუდს და მიუთითებს მტკიცების ტვირთის გადასვლის შესახებ. მოპასუხე მხარეს ევალუება ამტკიცოს, რომ ნ.ბ.-ს მუშაობის პროცესში აღმოჩენილი დარღვევები არსებითი ხასიათის იყო. ააიპ „ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“ მოვალეა ამტკიცოს, რომ მონიტორინგის სამსახურის მიერ აღმოჩენილი დარღვევებზე ნ.ბ. უშუალოდ იყო პასუხისმგელი.

მოთხოვნა: დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრა; მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

შედეგი: მიმდინარეობს საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ფ. ჩ. ააიპ „ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს“ წინააღმდეგ

საქმე ეხება ბაღის დირექტორებისა და მათი მოადგილეების პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებას.

საქმე მომზადებულია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: ფ.ჩ. 2007 წლიდან მუშაობდა თბილისის # საბავშვო ბაგა-ბაღში. 2015 წლის 15 ივნისს, ააიპ „საბავშვო ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს“ მონიტორინგის სამსახურმა ბაღის შემონების დროს აღმოაჩინა დარღვევები. დირექტორს გამოეცხადა საყვედური. მონიტორინგის სამსახურის დასკვნის მიხედვით, დირექტორს მიეცა რეკომენდაცია, შეენწყვიტა შრომითი ხელშეკრულება ბაღის სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელისთვის. ბაღის დირექტორმა, ნაცვლად ხელშეკრულების შეწყვეტისა, სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელს საყვედური გამოეცხადა, როგორც პასუხისმგებლობის უფრო მსუბუქი ზომა. ამის შემდეგ, 2015 წლის 9 ოქტომბერს დირექტორი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 11 ივლისი

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე თვლის, რომ დამსაქმებელი ცდილობს მმართველი პოლიტიკური გუნდის მხარდამჭერებით ჩანაცვლოს ბაღების დირექტორის და მოადგილის პოზიციები, რათა წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს ამ პოზიციებზე დასაქმებული საკუთარი მხარდამჭერები. შესაძლოა, ფ. ჩ. არც წარმოადგენს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ღია და აშკარა მხარდამჭერს, მაგრამ დამსაქმებელმა, იგი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ გააიგივა, რამდენადაც წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული, მუშაობდა დაკავებულ თანამდებობაზე. მოსარჩელე გამოთქვამს ეჭვს, რომ დამსაქმებლისთვის მიუღებელი აღმოჩნდა წამყვან თანამდებობაზე არასასურველ პოლიტიკურ გუნდთან („ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“) გაიგივებული პირის ყოფნა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გათავისუფლების ბრძანება დაუსაბუთებელია. დასაქმებული თვლის, რომ აუდიტის დასკვნაში მითითებული დარღვევები არ არის არსებითი ხასიათის და მხოლოდ გათავისუფლების რეალური საფუძვლის დამალვის მიზნით გამოიყენეს.

მოთხოვნა: სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა (სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება) და მორალური ზიანის ანაზღაურება პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამო.

შედეგი: საქმეს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო.

ნინო ანდრიაძე თბილისის მერიის წინააღმდეგ

საქმე ეხება პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებას

საქმე მომზადებულია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: ნინო ანდრიაძემ თბილისის მერიაში მუშაობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაიწყო. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ განყოფილებაში, რომელშიც ნინო ანდრიაძე მუშაობდა, განიცადა რეორგანიზაცია და ის სამ ნაწილად დაიყო, რის შედეგადაც შედგა ახალი სამტატო ნუსხა. ნინო ანდრიაძე და სხვა თანამშრომლები დაიბარეს და შესთავაზეს მოვალეობის შემსრულებლად უფრო დაბალ პოზიციაზე გადასვლა. ნინო ანდრიაძემ აღნიშნულზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც, კადრების შემცირების მოტივით იგი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. საყურადღებოა, რომ რეორგანიზაციის შედეგად, კადრების რაოდენობა სინამდვილეში გაიზარდა.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2014 წლის ნოემბერი

სამართლებრივი დასაბუთება: ნინო ანდრიაძე არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი, მუშაობდა მერიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ არ დასტურდება დამსაქმებლის მხრიდან სამსახურიდან გათავისუფლების უფლების მართლზომიერი გამოყენება, რაც ქმნის ეჭვს, რომ ადგილი ჰქონდა შერჩევით მიდგომას. საქმეში არსებული სხვადასხვა მტკიცებულება (მათ შორის, აუდიო ჩანაწერები, სამართლებრივად გაუმართავი სხვადასხვა დოკუმენტი და სხვ.) იძლევა მაღალი ალბათობით ვარაუდის საფუძველს, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას პოლიტიკური შეხედულების ნიშნით.

მოთხოვნა: სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება და დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება.

შედეგი: პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, პირველი ინსტანციის სასამართლომ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის და ახალი აქტის გამოცემის მიზნით, საქმე თბილისის მერიას დაუბრუნა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება როგორც მოპასუხემ ასევე მოსარჩელემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება და უცვლელად დატოვა გადაწყვეტილება. მოსარჩელე მხარემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება საკასაციო წესით. საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შემომწმების განხილვის ეტაპზეა.

თ. უ. თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის წინააღმდეგ

საქმე ეხება აზრის გამოხატვისა და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას

საქმე მომზადებულია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: დისკრიმინაციის მსხვერპლი 2008 წლიდან მუშაობდა დირექტორის მოადგილედ თბილისის # საბავშვო ბაგა-ბაღში. 2016 წლის 19 მაისიდან, დამსაქმებელმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეწყვიტა უვადო შრომითი ხელშეკრულება. სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებიდან ირკვევა მიზეზი: „სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას“. მსხვერპლმა აღნიშნა, რომ 2015 წლის იანვარში საბავშვო ბაღების დირექტორის მოადგილეებზე დაიწყო მასშტაბური ზეწოლა. კერძოდ, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში იზარებდნენ დირექტორებს, რომლებსაც ავალბდნენ მოადგილეების სამსახურიდან გაშვებას. მიზეზად სახელდებოდა ის, რომ ეს პოზიციები იყო პარტიული და მოადგილეებს „საკუთარი ნებით“ უნდა დაენერათ განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ. დისკრიმინაციის მსხვერპლს რამდენიმეჯერ მიანიშნეს, რომ თანამდებობა საკუთარი განცხადებით უნდა დაეტოვებინა, რაც მან არ შეასრულა. ბიულეტენზე ყოფნის შემდეგ სამსახურში დაბრუნებულს, დაახვედრეს გათავისუფლების შესახებ ბრძანება. ამ თანამდებობაზე კი მალევე დაინიშნა „ქართული ოცნების“ აქტივისტი და მხარდამჭერი. დისკრიმინაციის მსხვერპლი წინა ხელისუფლების მმართველობის დროს იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი. მას გააჩნია მოწმობა პარტიის წევრობასთან დაკავშირებით. იგი დარწმუნებულია, რომ თანამდებობიდან მისი გათავისუფლება მის განსხვავებულ პოლიტიკურ პოზიციას უკავშირდება.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 17 ივნისი

სამართლებრივი დასაბუთება: არჩევნების შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობის ცვლილებამ 2014 წელს ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელობის ცვლილებაც გამოიწვია. მოსარჩელეს რამდენჯერმე მიანიშნეს, რომ მას თავისი განცხადებით უნდა დაეტოვებინა სამსახური. თუმცა შემდგომში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მას შეუწყვიტეს შრომითი ხელშეკრულება. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მის მიმართ მოპყრობა იყო ნაკლებად კეთილგანწყობილი და არახელსაყრელი. დამსაქმებელი სამსახურიდან გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად დასაქმებულის მიერ კოლეგიალური ეთიკის დარღვევას ასახელებს, თუმცა ვერ ასაბუთებს, თუ რაში გამოიხატა მსხვერპლის მხრიდან კოლეგიალური ეთიკის დარღვევა. აღნიშნული წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტისას, დამსაქმებლის მოქმედებას ჰქონდა დისკრიმინაციული ხასიათი. მოსარჩელე ამ პოზიციასზე წინა ხელისუფლების პერიოდიდან მოყოლებული მუშაობდა. მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ის წლების განმავლობაში იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი, მისი სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ კი თანამდებობაზე „ქართული ოცნების“ აქტივისტი დაინიშნა. დამსაქმებელმა პოლიტიკური შეხედულების ნიშნით არასასურველი თანამშრომელი დაითხოვა სამსახურიდან და მის ნაცვლად იგივე თანამდებობაზე მაშინვე დაასაქმა მმართველი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი პირი, რაც დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მეტყველებს. დისკრიმინაციული ქმედების ჩადენის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს ქმნის ბოლოდროინდელი პრაქტიკა ააიპ „თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დაქვემდებარებული ბაღების დირექტორების და მოადგილეების მასობრივი გათავისუფლებების შესახებ, ასევე სტატისტიკური ინფორმაცია დროის მცირე პერიოდში ათეულობით დირექტორისა და მოადგილეების გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

მოთხოვნა: თანამდებობაზე აღდგენა; განაცდურის ანაზღაურება; მორალური ზიანის ანაზღაურება.

შედეგი: მიმდინარეობს საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში.

თ. მ. შპს „ჭერმესის“ წინააღმდეგ

საქმე ეხება აზრის გამოხატვის ნიშნით დასაქმებულის დისკრიმინაციას.

საქმე მომზადებულია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: 2015 წელს, შპს „ჭერმესის“ თანამშრომლებს ერიცხებოდათ ყოველკვარტალური პრემია, ხელფასის 70%-ის ოდენობით. პრემიის ოდენობა სამსახურის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით იყო განსაზღვრული. ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც პრემიის თანხა ჩაირიცხა შეცდომით, ნაკლები ოდენობით, ვიდრე ჩვეულებრივად. ამასთან დაკავშირებით საწარმომ ბოდიში მოუხადა თანამშრომლებს, ხოლო პრემიის დანაკლისი მომდევნო კვარტალში ანაზღაურა. ასეთ შემთხვევას განმეორებით ჰქონდა ადგილი მოგვიანებით. ამან თანამშრომლებში კითხვები გამოიწვია. დისკრიმინაციის მსხვერპლმა ხელმძღვანელობასთან იკითხა, თუ რაში მდგომარეობდა საქმე, კვლავ ხომ არ ჰქონდა შეცდომას ადგილი. ამის გამო, დამსაქმებლის მხრიდან მსხვერპლი დაექვემდებარა შევიწროვებას (ხმამალალი ტონით საუბარი, ყვირილი, მაგიდაზე ხელების დარტყმა). დამსაქმებელმა განუცხადა, რომ მის შეკითხვას პრემიის შემცირებასთან დაკავშირებით კინალამ თანამშრომლების ბუნტი მოჰყვა. აღნიშნული ინციდენტიდან მალევე, დისკრიმინაციის მსხვერპლი გათავისუფლდა სამსახურიდან სხვა ობიექტური გარემოების მიზეზით. როგორც ეს დამსაქმებელმა განმარტა, მსხვერპლის გათავისუფლება განაპირობა სამუშაოს კლებამ საწარმოში. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, საწარმოს სამუშაო ძალა კანონით გათვალისწინებული წესით არ შეუმცირებია. დისკრიმინაციის მსხვერპლი ისე გათავისუფლდა სამსახურიდან, რომ მისი ვაკანსია კვლავ ღია დარჩა.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 28 სექტემბერი

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა მის დისკრიმინაციას აზრის გამოხატვის ნიშნით. იგი თვლის, რომ სამსახურიდან სწორედ ამ მოტივით გათავისუფლდა. ამაზე მიუთითებს ის გარემოებები, რომ სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება დაუსაბუთებელია, სამუშაო ძალა ამის აუცილებლობის გარეშე შემცირდა.

მოთხოვნა: დისკრიმინაციის ფაქტის აღმოფხვრა მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

შედეგი: მიმდინარეობს საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში.

საქსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლით ადამიანი დაცულია დისკრიმინაციული მოპყრობისგან საქსუალური ორიენტაციის ნიშნით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი და მეორე მუხლი კრძალავს ისეთ მოპყრობას, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას რაიმე ნიშნით, მათ შორის საქსუალური ორიენტაციის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, თუ ასეთი მოპყრობა არ ემსახურება კანონით განსაზღვრულ მიზანს, არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალება არ არის თანაზომიერი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ადგილი ექნება დისკრიმინაციას. ამავე მუხლის მე-ნ პუნქტი ადგენს, რომ დისკრიმინაცია შეიძლება არსებობდეს, მიუხედავად იმისა, პირს რეალურად ახასიათებს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი.

ლამის კლუბში გეი წყვილის მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაციული მოპყრობა

საქმე ეხება ლამის კლუბიდან გეი წყვილის ძალადობრივი მეთოდებით გამოგდებისა და მომსახურებაზე დისკრიმინაციული საფუძვლით უარის ფაქტებს.

საქმე მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: გეი წყვილი იმყოფებოდა ლამის კლუბში, სადაც მათ ერთმანეთს აკოცეს. კოცნიდან დაახლოებით 15-20 წუთში, მათთან მივიდა ლამის კლუბის დაცვის ორი თანამშრომელი, რომლებმაც ძალადობრივი მეთოდებით გაიყვანეს გარეთ და გაყვანის პროცესში მათ მიმართ გამოიყენეს მკვეთრად ჰომოფობიური ენა. საქმესთან დაკავშირებით, დისკრიმინაციის მსხვერპლმა მიმართა სახალხო დამცველს, გააცნო საქმის ვითარება და მტკიცებულებების დროულად მოძიების კუთხით (ვიდეო ჩანაწერების) საქმეზე სრულყოფილი განაცხადის წარდგენამდე, სთხოვა ლამის კლუბის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის დამყარება და ფაქტის შესწავლა. სახალხო დამცველის ინფორმირების პარალელურად, შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის მთავარი სამმართველოს მე-ნ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით (ცემა), რომელიც მოგვიანებით შეწყდა სისხლის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედების არ არსებობის მოტივით. თუმცა, გამოვლინდა ადმინისტრაციული გადაცდომის ფაქტი და დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი სასამართლოს მიერ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისთვის დაჯარიმდა 100 ლარის ოდენობით.

დაცვის თანამშრომლისთვის ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, სახალხო დამცველმა განაგრძო საქმეზე წარმოება. საქმესთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერების შესწავლა ვერ მოხერხდა, რაც კლუბის

ადმინისტრაციის განმარტებით, განპირობებული იყო ჩანაწერების მოკლე დროით შენახვით. თუმცა, კლუბის ადმინისტრაციამ სახალხო დამცველს ზეპირი განმარტება მისცა, სადაც არ უარყო მომხდარი.

სახალხო დამცველისთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 22 აგვისტო

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებლები თვლიან, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალსწინებულ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციაზე მიუთითებს.

მოთხოვნა: დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ლამის კლუბის მიმართ შესაბამისი რეკომენდაციის გამოცემა.

შედეგი: საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, განმცხადებლების მიმართ დადგინდა პირდაპირი დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით და „სექტორი 26“ ადმინისტრაციის მიმართ მიღებული იქნა შესაბამისი რეკომენდაცია, რომელიც კლუბის ადმინისტრაციას მოუწოდებს, უზრუნველყოს საჯაროდ შეთავაზებული სერვისების ხელმისაწვდომობა კლუბის სტუმრების სექსუალური ორიენტაციის ან/და სხვა მახასიათებლების მიუხედავად.

ვეგანური კაფე „კივის“ პერსონალის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა

საქმე ეხება კაფე „კივის“ პერსონალის მიმართ განსხვავებული შეხედულების საფუძველზე დისკრიმინაციას.

საქმე მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: 2016 წლის მაისში კაფე „კივის“ პერსონალის მიმართ ნეონაციისტური დაჯგუფებისგან ადგილი ჰქონდა განსხვავებული შეხედულებისა და გარეგნობის გამო სიძულვილზე დაფუძნებულ ინციდენტს, რამაც კაფეს ახლოს მცხოვრები მეზობლების უკმაყოფილება და პერსონალთან დაპირისპირება გამოიწვია. კაფეს მესაკუთრემ „კივის“ პერსონალი კონფლიქტის ნამოწეებაში დაადანაშაულა. აღნიშნულის შემდგომ, კაფის ფართის მესაკუთრემ პერსონალის არანორმატიული გარეგნობისა და ასოციაციით არაჰეტერონორმატიული სექსუალური ორიენტაციის მიკუთვნებულობის მიუღებლობის მოტივით, ცალმხრივად შეწყვიტა „კივის“ საინიციატივო ჯგუფთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულება. კაფის აქტივისტების სახელით EMC-მ სახალხო დამცველს მიმართა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით.

სახალხო დამცველისთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 27 ივლისი

სამართლებრივი დასაბუთება: საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ განმცხადებლების ახსნა-განმარტებები და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, მათ შორის, ფოტოსურათები, მესაკუთრესთან საუბრის აუდიო ჩანაწერები მიუთითებდა, რომ მესაკუთრემ პერსონალის სხვა შეხედულებისა და ასოციაციით სექსუალური ორიენტაციის მიუღებლობის საფუძველზე შეწყვიტა ქი-

რავნობის ხელშეკრულება. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ მესაკუთრეს ხელშეკრულების შეწყვეტისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლით გათვალისწინებული პატივსაცემი მიზეზი არ გააჩნდა, მისი მოპყრობა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირდაპირ დისკრიმინაციას წარმოადგენდა. საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა ფართის მესაკუთრეს და მისგან საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე ახსნა-განმარტება დაახლოებით ერთი თვის ვადაში მიიღო, სადაც მესაკუთრე უარყოფდა დისკრიმინაციის ფაქტს და ხელშეკრულების შეწყვეტას კანონით მინიჭებულ უფლებას უკავშირებდა. მესაკუთრის პოზიციასთან დაკავშირებით, EMC-მ წარადგინა საკუთარი მოსაზრება და ხაზი კიდევ ერთხელ გაუსვა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელებიც მესაკუთრის მხრიდან დისკრიმინაციაზე მიუთითებდა.

შედეგი: უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებული განცხადების წარდგენამდე, EMC-მ მიმართა სახალხო დამცველს და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მედიაციის ფარგლებში ითხოვა მესაკუთრესთან კომუნიკაცია და ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის გაზრდა. მესაკუთრის წარმომადგენელსა და სახალხო დამცველის წარმომადგენლის კომუნიკაციით აღნიშნული საკითხი დადებითად გადაწყდა, თუმცა მოგვიანებით მესაკუთრემ მაინც შეწყვიტა ქირავნობის ხელშეკრულება. შესაბამისად, საქმეს ამ პერიოდისთვისაც სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს.

„სისი ლოუნის“ დისკრიმინაციული რეკლამა

საქმე ეხება ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ სტერეოტიპების გამყარებას.

საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ტელეარხებზე გადის კომპანია „სისი ლოუნის“ არასათანადო და არაეთიკური რეკლამა, რომელიც ლახავს ტრანსგენდერი ადამიანების და სექს-მუშაკების ღირსებას, ახდენს მათ სტიგმატიზებას და დისკრიმინაციას. „სისი ლოუნის“ რეკლამის კადრში ჩანს ე.წ პანელი, სადაც დგანან სექს-მუშაკები, მათ შორის ერთი ქროსდრესერი (ქალის ტანსაცმლით შემოსილი მამაკაცი), რომელიც შესაძლოა მიანიშნებდეს ტრანსგენდერ ქალ სექს-მუშაკზე. მანქანიდან ისმის შეძახილი: „ბოზებს სიცოცხლე“, ქროსდრესერ პირს ურეკავს ტელეფონი, დედა სთხოვს მას, წამოიღოს პური. რეკლამა მთავრდება პოლიციის სირენის ხმით, სექს-მუშაკები გარბიან.

სახალხო დამცველისთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 12 ოქტომბერი

სამართლებრივი დასაბუთება: სექს-მუშაკებს საზოგადოება, პოლიცია და ოჯახი ხშირად ანიჭებს სტიგმას. აღნიშნული ახდენს მათ იზოლირებას საზოგადოებისგან. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ სექს-მუშაკები ხშირად ხდებიან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი. რაც შეეხება ტრანსგენდერ სექს-მუშაკებს, ისინი ორმაგი ჩაგვრის მსხვერპლნი არიან, საკუთარი გენდერული იდენტობისა და სექს-მუშაკობის გამო. ტრანსგენდერ სექს-მუშაკებს კლიენტები ხშირად არ უხდებიან ფულს, სცემენ, აუპატიურებენ, ძარცვავენ. ისინი არიან სქესობრივად გადამდები ინფექციების განსაკუთრებული რისკის ქვეშ. სტიგმის გამო, სექს-მუშაკებს ხელი ეშლებათ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობაშიც.

ტრანსგენდერი ადამიანების კომიკურ პერსონაჟებად წარმოჩენა, მათი პრობლემების სასაცილოდ აგდება, სტიგმის შემცველი ფრაზების დაძახება („ბოზებს სიცოცხლე“) არღვევს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის უფლებას და ახდენს დისკრიმინაციას, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული გენდერული იდენტობის საფუძველზე. განმცხადებელმა მიმართა როგორც კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ სააგენტოს, ასევე საქართველოს სახალხო დამცველს.

მოთხოვნა: მარეგულირებელ კომისიას: „სისი ლოუნის“ რეკლამის, როგორც არასათანადო რეკლამის შეჩერება. სახალხო დამცველს: „სისი ლოუნმა“ აღმოფხვრას დისკრიმინაციული ქმედება, კერძოდ უარი თქვას ტრანსგენდერი ადამიანების და სექს-მუშაკების მიმართ დისკრიმინაციული რეკლამის გამოყენებაზე, როგორც სატელევიზიო ეთერში, ასევე ინტერნეტ სივრცეში.

შედეგი: სახალხო დამცველმა გამოსცა ზოგადი წინადადება და მიუთითა, რომ „სისი ლოუნის“ რეკლამა არის სტერეოტიპების შემცველი და ხელს უწყობს დისკრიმინაციას.

შოთა კიკნაძე (მომჩინვანის სახელი შეცვლილია) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოთარ ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ფსიქიატრიული განყოფილების და ტაქსის მძღოლის წინააღმდეგ

საქმე ეხება მსმ (მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან) სექსმუშაკის მიმართ საპატრულო პოლიციის, სამედიცინო მუშაკების, პოლიციის განყოფილების გამომძიებლის, ტაქსის მძღოლის მხრიდან არასათანადო მოპყრობას.

საქმე მომზადებულია „იდენტობას“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის 12 ოქტომბერს, ღამის დაახლოებით ორ საათზე შოთა კიკნაძე, რომელიც ტრანსგენდერი ქალი და ამავდროულად, სექს-მუშაკია, იმყოფებოდა ქალაქ თბილისში გამართა მოედნის მიმდებარე ცირკის ტერიტორიაზე. იქ ღამის საათებში სექს-მუშაკები დგანან ან გადაადგილდებიან ხოლმე. ეს ტერიტორია ასევე ცნობილია, როგორც გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, მსმ ჯგუფის წარმომადგენლების სოციალიზაციის ადგილი. შოთა კიკნაძის სიახლოვეს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მანქანა გაჩერდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შოთა კიკნაძეს ცირკის მიმდებარე ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს, ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაჯარიმებით დაემუქრნენ. ორგანიზაცია „იდენტობამ“ ჩაატარა თვისობრივი კვლევა თბილისში მსმ სექსმუშაკთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელმაც აჩვენა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სექსმუშაკებისთვის გადაადგილების შეზღუდვამ 2014 წლის ზაფხულის პერიოდიდან სისტემური ხასიათი მიიღო, და რომ პოლიციის ღონისძიებები არ ემსახურება რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. იმ შემთხვევებშიც კი, თუ ასეთი მიზანი არსებობს, საეჭვოა, პოლიციის მიერ გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიებები ამ მიზნის მიღწევის პროპორციული იყოს.

შოთა კიკნაძემ უარი თქვა ტერიტორიის დატოვებაზე, რასაც სამართალდამცავების მხრიდან მის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა, რაც გამოიხატებოდა ჰომოფობიურ გამონათქვამებში. მაგალითად,

ერთ-ერთმა სამართალდამცავმა აგრესიული ტონით უთხრა შოთა კიკნაძეს: „აქ პიდარასტების ადგილი არ არის!“. ემოციური აღელვების ნიადაგზე, შოთა კიკნაძემ ცუდად იგრძნო თავი და სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა შოთა კიკნაძეს მისცეს დამამშვიდებელი მედიკამენტი. სასწრაფო დახმარების ექიმმა, შოთა კიკნაძის თანდასწრებით ხმა-მალლა სხვა ექიმებსა და სამართალდამცავებს მიმართა: „ერთი ამას შეხედე, რა ჰგავს! კაცია თუ ქალი?“.

სამართალდამცავების მოთხოვნით, შოთა კიკნაძე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანამ გადაიყვანა ლუდუშაურის სახელობის კლინიკის ფსიქიატრიულ განყოფილებაში. იქ მას მოთხოვეს მკურნალობაზე თანხმობის დოკუმენტზე ხელის მოწერა, რაც კიკნაძემ არ გააკეთა. ამის შემდეგ, სამედიცინო მუშაკმა შოთა კიკნაძეს უხეშად მოკიდა ტანსაცმელზე ხელი, იძულებით მიიყვანა განყოფილების მთავარ გასასვლელ კარებამდე და წიხლი ამოარტყა. აღნიშნულთან დაკავშირებით, შოთა კიკნაძემ ინციდენტის დასრულებისთანავე დარეკა 112-ში, დააფიქსირა მომხდარი ფაქტი და გამოიძახა საპატრულო პოლიცია. ადგილზე მოსულ სამართალდამცავებისთვის ახსნა-განმარტების მიცემის შემდეგ, მან დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს პირველ განყოფილებაში ასევე გააკეთა ახსნა-განმარტება ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით. პოლიციის შენობიდან გამოსულმა შოთა კიკნაძემ და მასთან ერთად მყოფმა „იდენტობას“ თანამშრომელმა გააჩერეს ტაქსი. შოთა კიკნაძე მძღოლს შეუთანხმდა დანიშნულების ადგილსა და ფასზე. მანქანის უკანა სალონში დაჯდა „იდენტობის“ თანამშრომელი, მძღოლის გვერდით შოთა კიკნაძემ დააპირა დაჯდომა. მძღოლი დააკვირდა მგზავრს და მიხვდა, რომ შოთა კიკნაძე ქალის კაბაში ჩაცმული ბიოლოგიური მამაკაცი იყო. ამის შემდეგ მძღოლმა განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებდა. მძღოლმა მგზავრებს მანქანის დატოვება მოსთხოვა. მგზავრებმა შეასრულეს მძღოლის მოთხოვნა.

სახალხო დამცველისთვის მიმართვის თარიღი: 2014 წლის 18 ოქტომბერი

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება“, რაც გულისხმობს იმასაც, რომ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად გადაადგილდებოდეს საჯარო სივრცეში. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლიც კრძალავს ადამიანის მიმართ დამამცირებელ მოპყრობას. აღნიშნული აკრძალვა აბსოლუტური ხასიათისაა, არ არსებობს ასეთი მოპყრობის დაშვების არც ერთი საფუძველი. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ზ“ პუნქტით განსაზღვრულია, რომ პოლიცია, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილების ან მათი დარღვევის მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია, პირს რომელიმე ადგილის დატოვება მოთხოვს და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლაც აუკრძალოს. ამავე კანონის 25-ე მუხლი პოლიციის უფლებამოსილების ფარგლებს ადგენს. მოცემული აკრძალვა შეიძლება დაწესდეს, ხოლო დაწესებული გაგრძელდეს, მხოლოდ იმ დროით, რაც შეიძლება დასჭირდეს საფრთხის თავიდან აცილებას ან აღმოფხვრას.

მოთხოვნა: შოთა კიკნაძემ სახალხო დამცველს 2014 წლის 18 ოქტომბერს მოსთხოვა მითითებული გარემოებების შესწავლა და სათანადო რეაგირება. 2014 წლის 2 თებერვალს, საქმის წარმოებაში ოფიციალურად ჩაერთო ორგანიზაცია „იდენტობა“, რომელმაც დააზუსტა შოთა კიკნაძის მოთხოვნები და მათი სამართლებრივი დასაბუთება.

შედეგი: სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა 2014 წლის 15 ოქტომბერს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, ეცნობებინათ, რა მიზანს ემსახურებოდა ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავების მხრიდან მიმართ განხორციელებული ქმედებები, კერძოდ მათთვის გადაადგილების აკრძალვა და რამდენად დაცული იყო სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებები, ასევე შსს-ს სახალხო დამცველის აპარატისთვის მიენოდებინა ინფორმაცია ჰომოფობიური დამოკიდებულების თავიდან ასარიდებლად სამართალდამცავთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2014 წლის 1 ოქტომბერს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მიღებული წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, კანონმდებლობის შესაბამისად, სისტემატურად ახორციელებდა პრევენციულ ღონისძიებებს თბილისის სარისკო უბნებში, მათ შორის ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამავე წერილის მიხედვით, ჰომოფობიურ დამოკიდებულებებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში 2014 წლის 9 ივლისიდან სსიპ შს აკადემიაში მიმდინარეობდა პატრულ-ინსპექტორების გადამზადება.

სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა 2015 წლის 7 თებერვალს ასევე გამოითხოვა ინფორმაცია დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს პირველი განყოფილებიდან, რაზეც მათ პასუხი 2015 წლის 5 მარტს გასცეს. აღნიშნული პასუხის მიხედვით, პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლები ეხმარებოდნენ შოთა კიკნაძეს, კერძოდ შოთა კიკნაძე ცირკის მიმდებარე ტერიტორიიდან გადაიყვანეს ლუდუშაურის სახელობის კლინიკის ფსიქიატრიულ განყოფილებაში, სადაც შესთავაზეს სამედიცინო მომსახურების მიღება. ამ შეთავაზებაზე შოთა კიკნაძემ უარი განაცხადა. შსს-ს წერილის თანახმად, კლინიკის სანიტარის გასაუბრების ოქმიდან, შოთა კიკნაძის მიმართ არასათანადო მოპყრობა არ დადასტურდა, ვინაიდან შოთა კიკნაძის მიერ მითითებულმა სანიტარმა უარყო წიხლის ამორტყმის ფაქტი. სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა 2015 წლის 18 მარტს დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს I განყოფილებას წერილობით მიმართა და საქმეში არსებული მასალები, მათ შორის გასაუბრების ოქმები გამოითხოვა.

სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა განცხადებაზე სამართალწარმოება დაასრულა, რადგან შსს 2015 წლის 23 აპრილის საპასუხო წერილით აცხადებს, რომ შსს გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლა აღნიშნული საქმე და დაადგინა, რომ შსს მომსახურეთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია ადმინისტრაციულ გადაცდომას. ამასთან, შოთა კიკნაძე არ გამოცხადდა არც შსს გენ. ინსპექციის და არც სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტში და არ წარადგინა მასალები და მტკიცებულებები, რომელზე დაყრდნობითაც მოხდებოდა ადმინისტრაციული გადაცდომის ნიშნების გამოვლენა.

დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით

ადამიანის დისკრიმინაცია მისი სქესისა და გენდერის მიხედვით დაუშვებელია, როგორც საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი პირდაპირ მიუთითებს სქესს, როგორც დისკრიმინაციის საფუძველს. შეიძლება ითქვას, რომ სქესი დისკრიმინაციის კლასიკური ნიშანია. გაეროს 1979 წლის კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ შეეხება კონკრეტულად დისკრიმინაციას სქესის ნიშნით.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი ითვალისწინებს სქესს, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს. დისკრიმინაციას სქესის ნიშნით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ქარტილაში.

კავშირი „საფარი“ ტელეკომპანია „ტაბულას“ წინააღმდეგ, ქალის სხეულზე განთავსებული სუმი გადაცემა „რესტორანი“

საქმე ეხება რეკლამაში ქალის სხეულის ობიექტივიზაციას და გენდერულ დისკრიმინაციას

საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის აპრილში, ტელეკომპანია „ტაბულას“ ეთერში გავიდა გადაცემა „რესტორანის“ რეკლამა. აღნიშნულ რეკლამაში, ნახევარი წუთის განმავლობაში ჩანდა ქალის სრულიად შიშველ სხეულზე განთავსებული საკვები პროდუქტი.

სახალხო დამცველისთვის მიმართვის თარიღი: 2014 წლის ოქტომბერი

სამართლებრივი დასაბუთება: დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს: „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველ მუხლში მითითებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით“. ქალების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობად ჩაითვლება ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვია თუ შეზღუდვა, რაც დაკავშირებულია სქესთან და რომელიც ამცირებს ან აკნინებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ სხვა სფეროში. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება ქალთა მიმართ სტერეოტიპული როლების მიკუთვნების შესახებ. 1995 წელს ქალთა უფლებების დაცვის შესახებ კონფერენციაზე მიღებულ იქნა ე.წ. პეკინის პლატფორმა, რომელიც მიუთითებს, რომ მედიამ უნდა უზრუნველყოს არასტერეოტიპული ქალის როლის წარმოჩენა ტელევიზიაში. არ უნდა იქნეს გაშვებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ქალი არის

მხოლოდ სექსუალური ობიექტი. მედიამ მხარი უნდა დაუჭიროს სექსისტური რეკლამების აკრძალვის შესახებ ღონისძიებებს. 2002 წელს ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით „ქალის როლი მედიაში“, სადაც მითითებულია, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ქალი მედიაში წარმოდგენილია, როგორც სექსის ობიექტი ან ოჯახთან დაკავშირებული არსება, რაც გენდერული დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების შექმნის წყაროა.

მოთხოვნა: განმცხადებელი სთხოვს სახალხო დამცველს, მიიჩნიოს ტელეკომპანია „ტაბულას“ ეთერში გასული გადაცემა „რესტორანის“ რეკლამა დისკრიმინაციულად და სექსისტური შინაარსის მქონე პროდუქციად.

შედეგი: სახალხო დამცველმა წერილით მიმართა ტელეკომპანია „ტაბულას“ და სთხოვა, ეცნობებინა მისთვის, აპირებს თუ არა ტელეკომპანია „ტაბულა“ პრომო რგოლის ინტერნეტიდან ამოღებას, იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსმა რეკლამებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ არსებული სტერეოტიპების გამყარებას და ნაახალისოს სექსის ნიშნით დისკრიმინაცია. „ტელეკომპანია „ტაბულა“ „არ იზიარებს სახალხო დაცველის შეფასებას, რომ გადაცემა რესტორანის პრომო ამყარებს სტერეოტიპებს და ახალისებს სექსის ნიშნით დისკრიმინაციას“.

თ.ს. შ.რ.-ს წინააღმდეგ

საქმე ეხება დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სექსუალურ შევიწროებას.

საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: თ.ს. მუშაობდა ერთ-ერთ კომპანიაში, რომელიც სატელევიზიო ეთერში გასასვლელად ქმნიდა იუმორისტულ გადაცემას. თ.ს. ასრულებდა მსახიობის მოვალეობას. შ.რ. იყო თ.ს.-ის უშუალო ხელმძღვანელი. თ.ს.-ის მიმართ შ.რ.-ს მხრიდან წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა სექსუალური შევიწროების როგორც ფიზიკურ, ასევე ვერბალური ფორმას. შ.რ. გამუდმებით აკეთებდა დამამცირებელ და შეურაცხყოფელ კომენტარებს მოსარჩელის გარეგნობაზე, ჩაცმულობაზე, ასაკზე, სქესსა და პირად ცხოვრებაზე. აღნიშნული დასაქმებულს უქმნიდა მტრულ სამუშაო გარემოს. საბოლოოდ, შ.რ.-მ თ.ს.-ს კარიერული წინსვლის და მფარველობის სანაცვლოდ სექსობრივი კავშირის დამყარება შესთავაზა. აღნიშნული შეთავაზების შემდეგ, თ.ს.-მ თავი შეურაცყოფილად იგრძნო და სამსახურის დატოვება გადაწყვიტა. სამსახურიდან წასვლის საკითხის განხილვისას, შ.რ. შეპირდა მოსარჩელეს, რომ მისი მხრიდან სექსუალურ შევიწროებას ადგილი აღარ ექნებოდა. შევიწროებისგან თავის დაცვის მიზნით, თ.ს.-მ აღნიშნული საუბარი მობილური ტელეფონით ჩაინერა. შ.რ.-ს დაპირების მიუხედავად, თ.ს.-ს მიმართ სამსახურში კვლავ იყო მტრული გარემო, რაც თ.ს.-მ უშუალო უფროსთან გააპროსტეტა. მოპასუხემ თ.ს.-ს განუცხადა, რომ მის შეთავაზებაზე უარის თქმით, თ.ს.-მ დაკარგა შ.რ.-ს დადებითი განწყობა და ახლა იგი თვითონ უნდა გამკლავებოდა სამსახურში წარმოქმნილ პრობლემებს. სექსუალური შევიწროების ფაქტის გამეორების შემდეგ, თ.ს.-მ სამსახური დატოვა.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 30 ივნისი

სამართლებრივი დასაბუთება:

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მის მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროება არის გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლსა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე. მოსარჩელე განმარტავს, რომ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება ფიზიკური პირის ქმედებებზეც ყველა სფეროში. მოსარჩელე მიუთითებს გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის დანაწესზე, რომელიც აქცენტს სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებაზე აკეთებს და მას დაუშვებლად მიიჩნევს. მოსარჩელე ეყრდნობა შრომის კოდექსის ნორმებს, რომელიც შრომით სფეროში დისკრიმინაციის ორ სახეს გამოყოფს: თანასწორუფლებიანობის დარღვევასა და შევიწროებას. მოსარჩელე მიუთითებს ქმედების არასასურველობასა და მის მძიმე ხასიათზე.

მოთხოვნა: თ.ს. მოითხოვს მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედების – სექსუალური შევიწროების ფაქტისგან მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

შედეგი: თ.ს-ს სარჩელი წარმოებაშია მიღებული, სასამართლო სხდომა ჯერ არ ჩანიშნულა. მოსარჩელემ მიმართა სახალხო დამცველს სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარდგენის თხოვნით.

კაცისთვის ბავშვის მოვლის გამო შვებულების უფლების არარსებობის კონსტიტუციურობის შემოწმება

საქმე ეხება კაცისთვის შვებულების უფლების არსებობას და მისი ანაზღაურების საკითხს.

საქმე მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: შრომის კოდექსით, ბავშვის მოვლის გამო შვებულების უფლების დამდგენი ნორმა ბუნდოვანია და არ ჩანს, რამდენად არიან კაცები ამ უფლებით სარგებლობის სუბიექტები. ნორმა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ჯანდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს და 2007 წლის 25 სექტემბრის ბრძანებებით, კაცები საერთოდ გამორიცხულნი არიან შვებულებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების მიმღებ პირთა კატეგორიიდან. ბავშვის მოვლის გამო შვებულებით და შვებულების ანაზღაურების უფლებით სარგებლობენ როგორც ბავშვის ბიოლოგიური დედები, ასევე მშვილებელი მამები.

სამართლებრივი დასაბუთება: სარჩელით წარმოდგენილია არგუმენტაცია, რომელიც ერთი მხრივ, ასაბუთებს, რომ შრომის კოდექსის 27-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ტერმინი „დასაქმებული“, რომელსაც ამ შემთხვევაში შვებულების მიღების უფლება გააჩნია, უნდა განიმარტოს მისი შინაარსობრივი დატვირთვით და დღევანდელი რედაქციით ის არ მოიცავს კაცს, ან როგორც მინიმუმ, ნორმა იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. საქართველოს შრომის კოდექსის, აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #231/ნ ბრძანება განსაზღვრავს წესს, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, ბუნდოვანია მამაკაცების, ბავშვის ბიოლოგიური მამების უფლება, ისარგებლონ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით, ხოლო მეორე მხრივ, მათ გამორიცხული აქვთ უფლე-

ბა, მიიღონ ანაზღაურება დასახელებული შვებულებისთვის. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, კაცებს არ გააჩნიათ ბავშვის მოვლის გამო შვებულების უფლება. ამასთან, ბავშვის შვილად ამყვან მამას გააჩნია უფლება, თავისუფლად ისარგებლოს როგორც დასახელებული შვებულებით, ისე მისი სარგებლობის უფლებით. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ ბავშვის ბიოლოგიური მამები დიფერენცირებულ მდგომარეობაში არიან ერთი მხრივ ბავშვის ბიოლოგიურ დედებთან შედარებით, ხოლო მეორე მხრივ, ისინი უარეს უფლებრივ მდგომარეობაში იმყოფებიან ბავშვის შვილად ამყვან მამებთან შედარებით.

მოთხოვნა: საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, 28-ე და 29-ე მუხლების; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს N231/6 ბრძანების „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-6 მუხლის პირველი წინადადებისა და ამავე ბრძანების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის; „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის N281/6 ბრძანების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის კონსტიტუციურობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, 30-ე მუხლის პირველ პუნქტთან, აგრეთვე 36-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტების არაკონსტიტუციურად ცნობა.

შედეგი: წარდგენილია კონსტიტუციური სარჩელი. ამასთან, საქმეზე მიმდინარეობს საკონსტიტუციო სამართალწარმოების საწყისი ეტაპი. ამ ეტაპისთვის, სახალხო დამცველის მხრიდან საქმეზე არ ყოფილა წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

თ.თ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ.

საქმე ეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიმართ პოლიციის მხრიდან გენდერულ დისკრიმინაციას.

საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: თ.თ.-ის შვილი მ. ნ. 2013 წლიდან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში ლ.მ.-სთან. ლ.მ. ქორწინების განმავლობაში სისტემატურად ძალადობდა მ.ნ.-ზე როგორც სიტყვიერად, ასევე ფიზიკურად. მათი თანაცხოვრების მანძილზე პირველი ზარი 112-ში 2014 წლის აპრილში დაფიქსირდა. ოქმში მ.ნ. მიუთითებს, რომ მის მიმართ განხორციელდა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მკვლელობის მუქარა. შემდეგი გამოძახება ფიქსირდება 2014 წლის 22 სექტემბერს, სადაც მ.ნ. მიუთითებს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, თუმცა ოქმში ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი აღარ არის აღნიშნული. ამ კონფლიქტის შემდეგ, მ.ნ. წამოვიდა ყოფილი მეუღლის სახლიდან, თუმცა მის მიმართ სისტემატურად გრძელდებოდა მუქარა როგორც სატელეფონო მესიჯების საშუალებით, ასევე პირადად. ყოფილი მეუღლე მას ეზოდან ყველას გასაგონად ემუქრებოდა, რომ მანქანას დაუნჯავდა. რამდენიმე დღეში, სახლთან დახვდა კიდეც ჩასაფრებული. მ.ნ.-ს იქვე მდგომი უცნობი დაეხმარა. მ.ნ.-ის თანამშრომლებმა ლ.მ. რამდენჯერმე მ.ნ.-ს სამსახურთან შენიშნეს. მკვლელობის წინა დღეს, მოძალადე მ.ნ.-ს ტაქსით გამოეკიდა და ავარიულ სიტუაციებში უქმნიდა. მ.ნ. პოლიციის განყოფილებაშიც წერდა განცხადებებს და დახმარებას ითხოვდა. პოლიცია

მას პასუხობდა, რომ მხოლოდ ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევაში შეძლებდნენ რეაგირებას, და მუქარისა და სიტყვიერი შეურაცხყოფისას, ისინი უძღვრები იყვნენ. ერთადერთი რეაგირება პოლიციის მხრიდან იყო ლ.მ.-სთვის ხელწერილის დანერის მოთხოვნა, თუმცა ხელწერილი არ არის კანონით გათვალისწინებული ღონისძიება და მას იურიდიული ძალა არ აქვს. 2014 წლის 17 ოქტომბერს, ლ.მ.-მ სამსახურში მიაკითხა მ. წ.-ს და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა, შემდგომ კი თავი მოიკლა.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2015 წლის 7 აგვისტო

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელე მიუთითებს ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პოლიციელის მოვალეობებზე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესზე და თვლის, რომ შსს-ს მხრიდან კანონით გათვალისწინებული მოვალეობები დაირღვა, რაც ქმნის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს პასუხიმგებლობის საფუძველს. მოსარჩელე მიუთითებს, რომ პოლიციელთა მხრიდან დაირღვა საართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული თანასწორობის პრინციპი და საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი. მოსარჩელე მიუთითებს, რომ პოლიციელების მხრიდან მოხდა მ.წ.-ს დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით. პოლიციელების მხრიდან დაირღვა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სიცოცხლის უფლება და მე-14 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას. დარღვეულია საქართველოს მიერ რატიფიცირებული ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია.

მოთხოვნა: პოლიციელების მხრიდან მოვალეობის შეუსრულებლობისა და დისკრიმინაციის ფაქტისგან მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

შედეგი: მიმდინარეობს საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში.

დისკრიმინაცია ქონებრივი მდგომარეობის ნიშნით

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, ქონებრივი მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ქონებრივი მდგომარეობა კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს. ქონებრივი ნიშნით დისკრიმინაცია „მკაცრი შეფასების“ ტესტით უნდა შეფასდეს (მოპასუხემ უნდა დაასაბუთოს, რომ დიფერენცირება ემსახურება მწვავე და დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესის დაკმაყოფილებას), თუნდაც არსებითად თანასწორთა შორის განსხვავებული მოპყრობის ინტენსივობა მაღალი არ იყოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმი კრძალავს დისკრიმინაციას ქონებრივი ნიშნით.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის პირველი მუხლით პირდაპირ არის გათვალისწინებული ქონებრივი მდგომარეობის ნიშანი.

კ.ნ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და თბილისის მერიის წინააღმდეგ

საქმე ეხება შშმ პირისთვის განკუთვნილი ავტოსადგომით სარგებლობის უფლების დისკრიმინაციულ რეგულირებას.

საქმე მომზადებულია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: კ.ნ. არის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. 2015 წლის 04 დეკემბერს, მეგობარმა, რომელსაც მოსარჩელე გადაჰყავდა, ავტომობილი გააჩერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალურ სადგომზე. იმისათვის, რომ შპს „სი-თი პარკის“ უფლებამოსილი პირის მხრიდან იდენტიფიცირებადი ყოფილიყო აღნიშნულ სადგომზე პარკირების მოტივი, კ.ნ.-მ ავტომობილის წინა საქარე მინაზე განათავსა შეზღუდული შესაძლებლობის ფლობის დამადასტურებელი მოწმობა. ამის მიუხედავად, შპს „სი-თი პარკის“ უფლებამოსილმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125(2) მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, მოსარჩელის მეგობრის კუთვნილ ავტომობილზე გამოწერა საჯარიმო ქვითარი და ავტომობილი გადაიყვანეს სპეციალურ სადგომზე. საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ საკრებულოს #9-48 გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესები გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებას, ისარგებლოს მისთვის განკუთვნილი სპეციალური პარკირების ადგილით, თუ მის საკუთრებაში არ არის ავტომობილი და სპეციალური ნებართვის მოსაპოვებლად არ მიმართავს ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურს. იმის, გამო, რომ კ.ნ.-ს არ ჰყავს საკუთარი ავტომანქანა, იგი ვერ მიმართავდა მერიას შესაბამისი ნებართვის მოთხოვნით. შესაბამისად, ნებართვის არარსებობის გამო, მოსარჩელე და მისი მეგობარი ჩაითვალნენ პარკირების ადგილის გამოყენებისთვის არაუფლებამოსილ პირებად. კ.ნ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მისთვის არ არის რეკომენდირებული დიდი ხნის მანძილზე ფეხზე დგომა, თუმცა მანქანის სპეციალურ სადგომზე გადაყვანის გამო, მას 40 წუთი მოუწია ფეხზე დგომა.

სასამართლოსთვის მიმართვის თარიღი: 2015 წლის 14 დეკემბერი

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 4.2. მუხლის თანახმად, დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. ამასთან, საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კრძალავს ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით პირის როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ დისკრიმინაციას. განსახილველ შემთხვევაში, დაირღვა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება. იგი არ შეესაბამებოდა იმ საკანონმდებლო აქტს, რომლის საფუძველზეც იყო გამოცემული, კერძოდ საქართველოს კანონს „საგზაო მოძრაობის შესახებ“. აღნიშნული კანონის 19.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი საუბრობს საცნობი ნიშნის გაცემაზე ორ შემთხვევაში, როდესაც თავად მართავს შშმ პირი სატრანსპორტო საშუალებას, ან რომელსაც აღნიშნული პირები გადაჰყავს. ამასთან, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებისგან განხვავებით, კანონი არ მიუთითებს სატრანსპორტო საშუალების საკუთრების კრიტერიუმზე, როგორც საცნობი ნიშნის მიღების აუცილებელ გარემოებაზე. შესაბამისად, საკრებულოს მსგავსი რეგულაცია წარმოადგენდა პირდაპირ დისკრიმინაციას ქონებრივი მდგომარეობის ნიშნით, ვინაიდან იგი სრულად ამორიცხავდა იმ შშმ პირთა მიერ სპეციალური პარკირების ადგილების გამოყენების შესაძლებლობას, რომელთაც საკუთრებაში არ ჰყავთ დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება. ის შშმ პირები, ვინც სხვისი დახმარებით ან ტაქსით სარგებლობენ, ვერ შეძლებდნენ სპეციალური პარკირებით სარგებლობას. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედი რედაქცია ასევე არ მოდიოდა შესაბამისობაში საქართველოს კანონთან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ და გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციასთან, რომელშიც სახელმწიფოს ისეთი რეგულაციების შემოღებას ავალდებულებს, რომელიც შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისკენ იქნება მიმართული.

მოთხოვნა: ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადაო ნორმების ბათილად ცნობა, საკითხის არადისკრიმინაციული რეგულირება, მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, ბათილად ცნო სადაო აქტის კონკრეტული რეგულაციები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაავალა ახალი, არადისკრიმინაციული რეგულირების შემუშავება. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

დისკრიმინაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე

კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული ჯანმრთელობის მდგომარეობა, თუმცა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს.

თ.გ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ

საქმე ეხება განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოში დისკრიმინაციული ტერმინების გამოყენებას

საქმე მომზადებულია კავშირი „საფარის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს განათლების მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებული ბიოლოგიის მერვე კლასის სახელმძღვანელო შეიცავს დისკრიმინაციული სახის ტერმინებს, ფრაზებსა და მსჯელობებს აივ ინფექციის, შიდსის და წამალდამოკიდებულების შესახებ. ბიოლოგიის სახელმძღვანელოს (მაღლბაზ მაცაშვილი, რუსუდან ახვლედიანი, გამომცემლობა „კლიო“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012) გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ; სახელმძღვანელოში, წამალდამოკიდებული პირების მიმართ გამოყენებულია ტერმინი „ნარკომანი“ (გვ. 45-48); 2.13 თავი იწყება საქართველოს პატრიარქის ფრაზით, რომ ნარკომანია სირცხვილია. დასმულია კითხვა – „როგორ გესმის ილია მეორის ფრაზა? მოიფიქრე, რატომ შეიძლება ნარკომანი გახდეს საზოგადოებისთვის საშიში პიროვნება?“ (გვ.45); „ნარკომანები“ ხშირად სხვის მიერ მოხმარებულ ნემსს იყენებენ და დგანან შიდსით და C ჰეპატიტით დაავადების საშიშროების წინაშე (გვ. 47); სახელმძღვანელოში მოცემულია შიდსით დაავადებული წამალდამოკიდებული პირის ფოტო (გვ.48); სახელმძღვანელოში წერია, რომ შიდსი შეიძლება გადაედოს ადამიანს აივ-ით ინფიცირებულ პიროვნებასთან სქესობრივი კავშირის დროს (გვ.47); ტერმინები „შიდსი“ და „აივ-ინფექცია“ გამოყენებულია, როგორც სინონიმური ცნებები (გვ. 46-48).

სახალხო დამცველისთვის მიმართვის თარიღი: 2015 წლის 7 აგვისტო

სამართლებრივი დასაბუთება: აივ ინფიცირებულ და წამალდამოკიდებულ პირებს ერღვევათ კონსტიტუციით გათვალისწინებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და ღირსების უფლება. აღნიშნული უფლებებით სარგებლობის საშუალება აივ ინფიცირებულ და ნარკოტიკულ საშუალებებს დამოკიდებულ პირებს არ ეძლევათ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული თანასწორობის პრინციპის დარღვევით. მოსწავლეებს სახელმძღვანელო მოუწოდებს, მოიფიქრონ, თუ რატომ შეიძლება გახდეს ნარკომანი საზოგადოებისთვის საშიში. ასეთი დამლა და სტიგმა ხელს უშ-

ლის წამალდამოკიდებულ პირს, მოახდინოს ადაპტაცია საზოგადოებაში, იყოს დასაქმებული, ჰქონდეს სოციალური კონტაქტები. აივ-ინფიცირებულთა შემთხვევაში კი მითითებულია შიდსით დაავადებული პირის შემზარავი და სრულიად არაავთენტური სურათი. ამგვარი სურათი დამორგუნველად მოქმედებს ნებისმიერ პირზე და ინვესს გაუცხოვების გრძნობას ადამიანებში, ილახება ადამიანის პატივი და ღირსება.

მოთხოვნა: ბიოლოგიის VIII კლასის სახელმძღვანელოში ტერმინი „ნარკომანი“ ჩანაცვლდეს ტერმინით „წამალდამოკიდებული“; სახელმძღვანელოს ტექსტის ფორმულირება შეიცვალოს იმგვარად, რომ წამალდამოკიდებული ადამიანი საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებასთან არ იყოს გაიგივებული; სახელმძღვანელოში აისახოს ზუსტი ინფორმაცია აივ ინფექციისა და შიდსის შესახებ და მოხდეს აღნიშნული დაავადებების ერთმანეთისგან განსხვავება; სახელმძღვანელოში აისახოს ზუსტი ინფორმაცია აივ ინფექციისა და შიდსის გავრცელების გზებს შორის განსხვავების და აღნიშნულ დაავადებებთან ბრძოლის შესახებ; ამოღებულ იქნას 2.13 თავის ბოლოს დართული ფოტო; 19 ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წამალდამოკიდებული, აივ ინფექციის და შიდსის მატარებელი ადამიანების მიმართ სტიგმის და სტერეოტიპული დამოკიდებულების წარმოშობა და დისკრიმინაციის წახალისება.

შედეგი: სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა განათლების სამინისტროს და მოითხოვა: ბიოლოგიის VIII კლასის სახელმძღვანელოში ტერმინი „ნარკომანი“ ჩანაცვლდეს ტერმინით „წამალდამოკიდებული“; სახელმძღვანელოს ტექსტის ფორმულირება შეიცვალოს იმგვარად, რომ წამალდამოკიდებული ადამიანი საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებასთან არ იყოს გაიგივებული; სახელმძღვანელოში აისახოს ზუსტი ინფორმაცია აივ ინფექციისა და შიდსის შესახებ და მოხდეს აღნიშნული დაავადებების ერთმანეთისგან განსხვავება; სახელმძღვანელოში აისახოს ზუსტი ინფორმაცია აივ ინფექციისა და შიდსის გავრცელების გზებს შორის განსხვავების და აღნიშნულ დაავადებებთან ბრძოლის შესახებ; ამოღებულ იქნას 2.13 თავის ბოლოს დართული ფოტო; 19 ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წამალდამოკიდებული, აივ ინფექციის და შიდსის მატარებელი ადამიანების მიმართ სტიგმის და სტერეოტიპული დამოკიდებულების წარმოშობა და დისკრიმინაციის წახალისება.

დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით

ეროვნული კანონმდებლობა და საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები რელიგიური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის საფუძვლებს შორის, პირდაპირ არის მითითებული რელიგიური კუთვნილება, რის გამოც ის დისკრიმინაციის კლასიკურ ნიშნად ითვლება. რელიგიური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 და 26-ე მუხლები, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი რელიგიურ კუთვნილებას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს, პირდაპირ ითვალისწინებს.

შ.გ. საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებას“ წინააღმდეგ

საქმე ეხება საპატრიარქოს რადიოში გასულ რეკლამას, რომელიც რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციას იწვევს

საქმე მომზადებულია „საფარის“ მიერ

ფაქტობრივი გარემოებები: საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებაში“ გასული რეკლამა „სარგებელი“ იმ ადამიანებს, ვინც ეკლესიაში არ დადის, ცხოველებს ადარებს: „ეკლესიაში ყოფნა ადამიანად ყოფნაა. მაგრამ, ვინ არიან ისინი, ვინც ტაძარში არ დადის? ნუთუ ისინი ადამიანები არ არიან? თუ მათ არა აქვთ ფეხები, ყურები, თვალები? ჩემო მეგობარო, თვალები, ფეხები და სხვა ორგანოები ცხოველებსაც აქვთ, თანაც უფრო დიდი ზომისა, მაგრამ ამის გამო ისინი არ არიან ადამიანები. ადამიანი ცხოველისაგან განირჩევა არამარტო გარეგნობით, არამედ ღვთისაგან ბოძებული აზროვნებითაც, რის ერთ-ერთ გამოვლინებასაც ეკლესიურობა წარმოადგენს. თუ ადამიანი არ დადის ეკლესიაში, ნუ მიწყენთ და იგი ემსგავსება ცხოველს. თვითონ დაფიქრდი: მთელი კვირის განმავლობაში იგი, როგორც ცხოველი, მუდმივად დაკავებულია საკვების მოპოვებით, მუშაობს, რომ გამოკვებოს საკუთარი თავიც და ოჯახიც. მას სძინავს – სძინავს მხეცსაც. ის ჭამს, ისვენებს. დასვენება სჭირდება ოთხფეხსაც. მაშ რა განსხვავებაა? განსხვავება ჩანს კვირა დღეს, როცა ადამიანი მიდის ტაძარში და იქ წარდგება ღვთის წინაშე, რასაც ცხოველი არ აკეთებს. ვინც არ დადის ეკლესიაში, იფიქრებს, რომ ადამიანია და ეშვება ცხოველური ცხოვრების წესამდე, ველურდება და მხეცად იქცევა. ის შეიძლება ჰალსტუსს ატარებდეს, დადიოდეს სუფთად გაპარსული, მაგრამ მისი გული მხეცის გულია“.

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი შ.გ. მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკლამა წარმოადგენს არახელსაყრელ მოპყრობას, როგორც არარელიგიურ პირთა, ასევე მორწმუნე და რელიგიური ადამიანების მიმართ დისკრიმინაციას, რომლებიც ეკლესიაში არ დადიან. არახელსაყრელი მოპყრობა გამოიხატება იმ პირების, რომელიც ეკლესიაში არ დადიან, ცხოველებთან შედარებით. ადამიანისთვის

ადამიანობის წარმევის მცდელობა ანუ დეჰუმანიზაცია, არამარტო ღირსების შემლახველია, არამედ დისკრიმინაციულია და თანასწორობას არღვევს, შემოაქვს იერარქია ადამიანებს შორის. ეკლესიაში არმოსიარულე პირების ცხოველებთან შედარება ემსახურება მათი პატივისა და ღირსების შელახვას. დისკრიმინაცია ხორციელდება რელიგიისა და რწმენის საფუძველზე. არახელსაყრელი მოპყრობით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული სინდისის, რწმენის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება. აღნიშნული უფლება ასევე არღვევს ადამიანის ღირსების უფლებას, რომელიც თავის არსით აბსოლუტური უფლებაა. შ.გ.-მ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს.

სახალხო დამცველისთვის მიმართვის თარიღი: 2016 წლის 1 აგვისტო

მოთხოვნა: დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ტელეკომპანია „ერთსულოვნების“ მიმართ, დისკრიმინაციული რეკლამის საეთერო ბადიდან ამოღების მოთხოვნით რეკომენდაციის გამოცემა. ასევე, დაევალოს ტელეკომპანია „ერთსულოვნებას“, ეთერში გასული სხვა რეკლამებიც დაუქვემდებაროს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონს.

შედეგი: სახალხო დამცველმა შეწყვიტა საქმის წარმოება დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის ბ ქვეპუნქტის საფუძველზე. სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 და მე-11 მუხლების შესაბამისად, ის არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს მართლმადიდებლური სარწმუნოების დოგმატიდან გამომდინარე საკითხებში. სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ შესაძლოა ეთერში გაჟღერებული ფრაზები შესაძლებელია შეურაცხმყოფელი იყოს კონკრეტული ინდივიდებისთვის, თუმცა სიუჟეტი არ უწყობს ხელს დისკრიმინაციას.

შეხვედრები საქართველოს სახალხო დამცველთან

სახალხო დამცველსა და „კოალიცია თანასწორობისთვის“ შორის გაფორმებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანასწორობის საკითხებზე რეგულარულ შეხვედრებსა და თანამშრომლობას. საანგარიშო წლისთვის ორგანიზებული იყო 4 შეხვედრა. შეხვედრებს ესწრებოდნენ სახალხო დამცველი, მისი მოადგილეები, თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი, სპეციალისტები და კოალიციის წევრები.

შეხვედრებზე განხილული იყო თანასწორობის დეპარტამენტის მიერ საქმეთა განხილვის წესი, პროცედურები და ვადები (2015 წლის 23 დეკემბერი). 2016 წლის 7 მარტს თანასწორობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა ხედვა შრომით ურთიერთობებში გონივრული მისადაგების საკანონმდებლო თუ სხვა სახის რეგულირების შესახებ. 2016 წლის 3 ივნისის შეხვედრა დაეთმო ანტიდისკრიმინაციული კანონის გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, მხარეებმა ისაუბრეს იმ ცვლილებებზე, რომელიც სახალხო დამცველის როგორ ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ეფექტურობას მნიშვნელოვნად გაზრდიდა. 2016 წლის 6 ოქტომბერს მხარეები შეთანხმდნენ სასამართლო მეგობრის მოსაზრების ეფექტური გამოყენების მეთოდებზე და კონსტიტუციური სარჩელის, როგორც თანასწორობის პოლიტიკის მექანიზმის გამოყენებაზე.

„კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობები

ტრენინგები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით

2016 წლის 9-10 ნოემბერს, „საფარმა“ ჟურნალისტებისთვის ტრენინგი გამართა, სახელწოდებით „უმცირესობის საკითხების არადისკრიმინაციული გაშუქება – ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტები“. ტრენინგებზე მონაწილეები იყვნენ ექსპერტები: ზვიად ქორიძე, ნესტან ცეცხლაძე და ზაია პატარაია. ტრენინგზე დეტალურად განიხილეს ისეთი საკითხები, როგორცაა: დისკრიმინაციისა და თანასწორობის რაობა; სტერეოტიპები, მათი ტირაჟირება და სტიგმის ჩამოყალიბება; დაცული საფუძველი და მტკიცების ტვირთი; დისკრიმინაციული გარემოს შეცვლის აუცილებლობა; ნიუსრუმში წარმოშობილ დისკრიმინაციულ პრობლემებთან გამკლავების ხერხები; დისკრიმინაციასთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები.

2015 წლის 15-16 დეკემბერს, „საფარის“ ორგანიზებით გამართა ტრენინგი მოსამართლეებისთვის: „დისკრიმინაციის აკრძალვის ქართული და ევროპული სტანდარტები“. ტრენინგებზე მონაწილეები იყვნენ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან მესხიშვილი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი ადეიშვილი, კავშირი „საფარის“ ხელმძღვანელი ზაია პატარაია. ტრენინგის მონაწილეებს მიენოდათ ინფორმაცია ზოგადად პრივილეგიებისა და დისკრიმინაციის შესახებ. ტრენინგზე დეტალურად განიხილეს ისეთი იურიდიული საკითხები, როგორცაა კომპარატორი, განსხვავება პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას შორის, შევიწროვება, დაცული საფუძვლები, მტკიცების ტვირთი, ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და დისკრიმინაციის შეფასების ტესტები. აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა იმ ტრენინგ მოდულის შესაბამისად, რომელიც 2014 წელს შემუშავდა იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან ერთად.

2016 წლის 15 ივნისს, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ორგანიზებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი მშობლებისათვის გამართა ერთდღიანი ტრენინგი – „დისკრიმინაცია და მისი აკრძალვის სამართლებრივი მექანიზმები“. ტრენინგი მიზნად ისახავდა დამსწრე პირებისთვის დისკრიმინაციის არსის განმარტებას, საქართველოში არსებული ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და არსებული პრაქტიკის განხილვას. აღნიშნული ტრენინგი მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან სამიზნე ჯგუფებისათვის ცნობილი გახდა ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების და პრაქტიკის შესახებ, რაც დაეხმარება მათ დისკრიმინაციის ფაქტების დროულ აღმოჩენასა და სწორ რეაგირებაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლისა და მათ წინააღმდეგ დისკრიმინაციის ფაქტების იდენტიფიცირება/პრევენციის მიზნით, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ იურისტები შეხვდნენ დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში მცხოვრებ პირებსა და ბათუმში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ მშობლებს და ბავშვებს. ორივე შეხვედრაზე იურისტებმა ისაუბრეს უფლებრივი თანასწორობის მნიშვნელობასა და ანტი-

დისკრიმინაციული მექანიზმების არსებობაზე, ასევე, დამსწრე პირებისაგან მოისმინეს ის ინფორმაცია, რომელიც შეიცავდა სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნებს. ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ ასევე განიმარტა, თუ როგორ უნდა დაიცვან აღნიშნულმა პირებმა თავი დისკრიმინაციისგან და ყოველ კონკრეტულ პრობლემასთან მიმართებით, გასცეს სამართლებრივი კონსულტაციები.

შპმ პირებთან და მათ მშობლებთან „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ორგანიზებით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, სადაც მათ განემარტათ დისკრიმინაციის არსი. მონაწილეებს მიენოდათ ინფორმაცია, როგორ იცავს კანონი მათ დისკრიმინაციისგან და რა მექანიზმები არსებობს ამისთვის. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიმდინარე საქმეებს. სამომავლოდ იგეგმება კიდევ 4 შეხვედრის ჩატარება.

ორგანიზაცია „კონსტიტუცია 42-ე მუხლმა“ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით მოამზადა ვიდეორგოლი, სადაც აღწერილია ის შემთხვევები, როდესაც შეიძლება მოხდეს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია. აღნიშნული ვიდეორგოლი გადიოდა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, ოქტომბრის პირველ ნახევარში, 1 კვირის განმავლობაში, დღეში 3-ჯერ. ამავე ორგანიზაციამ 5 სხვადასხვა ქალაქში (თელავში, გორში, ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში) ჩატარა 10 საჯარო დისკუსია პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის თემაზე.

„პოლიცია თანასწორობისთვის“ წევრების კვალიფიკაციის ამაღლება

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ორგანიზებით, კოალიციის წევრებს ჩატარდათ ვორკშოპი სტრატეგიული საქმისწარმოების უნარების გაძლიერების მიზნით. ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა დისკრიმინაციის საქმის სტრატეგიის შემუშავება, მტკიცებულებების შეგროვება, მსხვერპლთან ეფექტური მუშაობა, მტკიცების ტვირთი, ზიანის ანაზღაურება მატერიალური და მორალური ზიანისთვის. ტრენინგს უძღვებოდა იუსტინა იონესკუ. ტრენინგმა კოალიციის წევრებთან ისაუბრა ანტიდისკრიმინაციული კანონის მნიშვნელობაზე, მის როლზე საზოგადოებაში. მონაწილეებმა ისაუბრეს, რომელი ჯგუფები, რომელ სფეროში ექვემდებარებიან ყველაზე ხშირად დისკრიმინაციას. ტრენინგზე განხილულ იქნა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის შემთხვევები. ტრენინგმა ისაუბრა შევიწროების, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახის შესახებ.

მონაწილეებმა განიხილეს, თუ რომელი მექანიზმებია ეფექტური დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით და რა როლი შეიძლება ჰქონდეთ კოალიციის წევრებს დისკრიმინაციის შემთხვევებთან დაკავშირებით. ტრენინგის დასასრულს, ტრენინგმა მონაწილეებს გაუზიარა გამოცდილება მოგებული საქმის მონიტორინგის და აღსრულების კუთხით.

„კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრების მიერ წარმოებული საქმეებიდან მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები

მორალური ზიანი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, დისკრიმინაციის მსხვერპლს უფლება აქვს, დისკრიმინაციის განმარტოვებელი პირისგან მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. დამკვიდრებული პრაქტიკით, სასამართლო მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს როგორც სუბიექტურ მხარეს – მსხვერპლის დამოკიდებულებას დამდგარი ზიანის მიმართ, ასევე სხვადასხვა ობიექტურ გარემოებებს, მაგალითად სამართალდარღვევის სიმძიმეს. ვინაიდან მსხვერპლის სულიერი განცდების და დამოკიდებულებების განსაზღვრა და მისი თანხაში გამოსახვა სირთულეებს იწვევს, მნიშვნელოვანია, კანონმდებელმა გაითვალისწინოს, რომ დისკრიმინაციის ფაქტი მსხვერპლში თავისთავად იწვევს მძაფრ სულიერ განცდებს და დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურება ავტომატურად უნდა იწვევდეს მორალური ზიანის ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში, დისკრიმინაციის მსხვერპლს აღარ მოუწევს განცდილი მორალური ტანჯვის დასადასტურებლად სასამართლოსთვის დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა. კოალიციის წევრების მიერ წარმოებული საქმეების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დისკრიმინაციული ქმედების დადასტურება ავტომატურად იწვევს მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებას, კერძოდ:

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეში გ.ბ ლ.გ.-ს წინააღმდეგ (გვ. 12) დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი და მოპასუხეს დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების დისკრიმინაციული საფუძველით მოშლამ გააუარესა მოსარჩელის მდგომარეობა, და განმარტა, რომ დისკრიმინაციის ფაქტი უკვე წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს. საქმეში გ.ბ ლ.გ.-ს წინააღმდეგ სასამართლო მორალურ ზიანთან დაკავშირებით მიუთითებს: „მორალურ ზიანს იწვევს მოსარჩელის მიერ დისკრიმინაციის შედეგად სულიერი და მორალური ტკივილის განცდა“; „არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისთვის, საკმარისია, არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მორალური ზიანის მიყენება შეიძლება უკავშირდებოდეს უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობას“.

საქმეში „ირაკლი კვარაცხელია ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ“ (გვ. 34), სააპელაციო სასამართლო მიუთითებს: „არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მორალური ზიანის მიყენება შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობას და ამის ნიადაგზე სამსახურიდან გათავისუფლების მომენტს, ასევე მორალური ზიანი შესაძლოა დადგეს მოგვიანებით, ხანგრძლივი უმუშევრობის მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესის და რითმის შეცვლის, დათრგუნულობის, გაურკვევლობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ არაქონებრივი ზიანი, თავისი ბუნებით, არ წარმოადგენს დაზარალებულისთვის რაიმე მატერიალური დანახარჯის კომპენსაციის წყაროს, იგი მიეცემა დაზარალებულს სულიერი ტანჯვის საკომპენსაციოდ“.

საქმეში „გ. ხაბურზანია თბილისის მერიის წინამძღვე“ (გვ. 35), სააპელაციო სასამართლო მიუთითებს: „რადგანაც დადასტურებულია გიორგი ხაბურზანიას მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა პოლიტიკური ნიშნით, არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სასამართლო პრაქტიკა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისას, მორალური კომპენსაციის მიკუთვნებასთან დაკავშირებით სწორი მიმართულებით ვითარდება, იმისათვის, რომ თავიდან ავირიდოთ მომავალში სასამართლოს მხრიდან კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია, მნიშვნელოვანია, აღნიშნული უფლება გარანტირებული იყოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონით. რაც შეეხება კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის საკითხს, ამ მიმართულებით საჭიროა მოხდეს სასამართლო პრაქტიკის შეცვლა, რადგან სასამართლოების მიერ დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის მიკუთვნებული კომპენსაციის ოდენობა მნიშვნელოვნად დაბალია საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ ოდენობასთან შედარებით და არაპროპორციულად ასახავს მსხვერპლის მიერ განცდილ ტანჯვას და შესაბამის მორალურ ზიანს.

სასამართლოსთვის მიმართვის ვადა

ამჟამინდელი კანონმდებლობით, დისკრიმინაციის საქმეებზე სასამართლოსთვის მიმართვისთვის არსებობს სამთვიანი ხანდაზმულობის ვადა. დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას მსხვერპლის მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭირო დრო და მსხვერპლის მზაობა, დაიცვას საკუთარი უფლებები სამართლებრივი წესით. დისკრიმინაციის თემაზე საზოგადოებაში არსებული დაბალი ცნობიერების გათვალისწინებით, მსხვერპლს სჭირდება გარკვეული დრო იმის გასაცნობიერებლად, რომ იგი დისკრიმინაციის მსხვერპლია, და რომ არსებობს სამართლებრივი საშუალება საკუთარი უფლების აღდგენისა.

ამასთან, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ სამთვიანი ხანდაზმულობის ვადა სამოქალაქო ტიპის დავებისთვის განსაზღვრულ სხვა ხანდაზმულობის ვადებთან შედარებით ბევრად მცირეა. დისკრიმინაციის სარჩელებთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილებით ხანდაზმულობის ვადა, ძირითადად, ნ თვიდან 3 წლამდე მერყეობს. სამთვიანი ვადის გაზრდის საჭიროება კოალიციის მიერ წარმოებულ საქმეებშიც გამოიკვეთა. მაგალითად, კოალიციის მიერ წინარმობე ერთ-ერთ საქმეში, განმცხადებელმა სამთვიანი ვადის გაშვების შემდეგ მიმართა ორგანიზაციას იურიდიული დახმარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ საქმე ამ შემთხვევაში წარმოებაში მიიღო, შესაძლოა მოპასუხე მხარემ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, რაც შესაბამისად, განმცხადებლის უფლების დაცვაზე იქონიებს უარყოფით გავლენას.

სამთვიანი ხანდაზმულობის ვადის გაზრდასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველმა. საკანონმდებლო წინადადებისა და შესაბამისი არგუმენტების მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული „კოალიცია თანასწორობისთვის“. საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა და იურიდიულმა კომიტეტებმა მოამზადეს შესაბამისი დასკვნები. მათ გაიზიარეს ჩვენი არგუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებასთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს აღნიშნულ წინადადებას. ამ ეტაპზე აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება შეჩერებულია გაურკვეველი ვადით.

ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება სასამართლოს მიერ კანონის მიხედვით დაუშვებელია, შეუძლებელია ამ პრობლემის შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის განვითარების გზით რეგულირება. შესაბამისად, აუცილებელია, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები და სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების გათვალისწინებით მოხდეს დისკრიმინაციის სარჩელებისთვის განკუთვნილი სამთვიანი ვადის 1 წლამდე გაზრდა.

ადმინისტრაციული კოლეგიისთვის მიმართვისას საქმის გაყოფის ან სამოქალაქო კოლეგიისთვის გადაცემის საკითხი

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქმის შეტანისას, ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით, ხშირია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმის ორ ნაწილად გაყოფა, რის შემდეგაც დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქმე განსახილველად ეგზავნება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. მსგავსი მიდგომით, უარესდება სახელმწიფო დაწესებულების მიმართ მოდავე დისკრიმინაციის მსხვერპლთა მდგომარეობა, რადგან ერთი და იგივე შინაარსის საქმეზე დისკრიმინაციის მსხვერპლებს მოუწევთ ორმაგი სასამართლო ხარჯით, ადამიანური და დროის რესურსით ერთდროულად ორ სხვადასხვა სასამართლო კოლეგიაში დავის წარმოება. ამასთან, ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად გააჭიანურებს მსხვერპლის უფლებებში აღდგენის პროცესს, რაც წინააღმდეგობაში მოვა გონივრულ ვადაში საქმის განხილვის გარანტიასთან, ანდა საერთოდ, გამოიწვევს დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლთა მხრიდან ასეთ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმას.

გარდა ამისა, ვინაიდან საჯარო სექტორში დისკრიმინაციის შემთხვევები ხშირად ფიქსირდება, განსაკუთრებით პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია, სასამართლოს ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად შეასუსტებს ამ სექტორში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქმის ორ ნაწილად გაყოფის პრაქტიკა კოალიციის წევრების მიერ წარმოებულ საქმეებშიც გამოიკვეთა. თეონა ჭალიძის სარჩელის განხილვისას, სადაც იგი ითხოვდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინდ. სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას, განაცდურის ანაზღაურებას, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და მორალური ზიანის ანაზღაურებას, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სარჩელი მორალური ზიანისა და ფაქტის დადგენის ნაწილში გადაუგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ვინაიდან სამართალწარმოება რეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს, რაც გამორიცხავს ამ საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილვას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგია გაცნო სარჩელს, თუმცა საგნობრივი განსჯადობის დადგენის მიზნით, სარჩელი გადააგზავნა უზენაეს სასამართლოში.

ჭალიძის სარჩელის საგნობრივი განსჯადობის განხილვისას საკასაციო სასამართლო, სამართლიანი სასამართლოს პრინციპის საერთაშორისო წყაროებისა და „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ანალიზზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ადამიანის დარღვეული უფლების აღდგენისაკენ მიმართული სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს ისეთი გზით, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ამ დარღვეული უფლების აღდგენას და ამისათვის მაქსიმალურად სამართლიან, კომფორტულ და კომპეტენტურ პირობებს შექმნის. საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა ჩამონათვალს. დავათა ჩამონათვალი ვერ იქნება ამომწურავი. საბოლოო რეგულაციაში მუხლი ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა, რომელიც გამომდინარეობს სწორედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ვინაიდან, თეონა ჭალიძე ითხოვდა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, უდავოა, რომ სარჩელი ამ ნაწილში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაუშვებელია საჯარო სამართლებრივი დავის კერძო სამართლებრივ დავად მიჩნევა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე თავის საჯარო სამართლებრივ მოთხოვნას ასაბუთებს კერძო სამართლებრივი ნორმების მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. განსახილველ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ სწორედ პოლიტიკური მოტივი იყო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, ან თუ გამოიკვეთება ე.წ. „კომპარატორი“ (როგორც დისკრიმინაციული ქმედების გამოვლენისათვის აუცილებელი ერთ-ერთი სტანდარტი), რომელსაც იმავე მოცემულობაში განსხვავებულად მოექცნენ, სახეზე იქნება დისკრიმინაცია სამსახურიდან გათავისუფლების დროს და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შეუძლებელია, განცალკევებით შეფასდეს აქტის კანონიერება და დისკრიმინაცია, მაშინ როდესაც სწორედ საჯარაუდო დისკრიმინაციული მოტივი არის აქტის უკანონობის მთავარი საფუძველი“.

სასამართლოს მიაჩნია, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისგან დამოუკიდებლად არამართებულია, რის გამოც დავის საგნის ამგვარი დაყოფა გამოიწვევს მოსარჩელის უფლების ხელყოფას, მისი სარჩელი განიხილოს უფლებამოსილმა სასამართლომ. სასამართლოს აზრით, ნებისმიერი სახის სასარჩელო განცხადებით მიმდინარე სამართალწარმოებაში დისკრიმინაციული ნიშნით მიღებული გადაწყვეტილების შედავება, თავისთავად ვერ აქცევს ამ სარჩელს სამოქალაქოდ, სარჩელი განხილულ უნდა იქნეს იმ ზოგადი წესით, რითაც ძირითადი საკითხი განიხილება.

მნიშვნელოვანია ამ საკითხის სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით რეგულირება, ვინაიდან კანონი ისედაც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, როგორც დისკრიმინაციის სარჩელებზე შესაბამის სამართლებრივ მექანიზმს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიკუთვნებული აქვს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელების განხილვის კომპეტენცია, კანონმდებლობა ცვლილებას არ საჭიროებს. საჭიროა, მოხდეს სასამართლო პრაქტიკის სწორი მიმართულებით განვითარება, რასაც ვიმედოვნებთ, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება შეუნყოფს ხელს.

სასამართლოს მეგობარი

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 2014 წლის მაისში იქნა მიღებული. შესაბამისად, იგი ქართული კანონმდებლობისთვის შედარებით ახალი მოვლენაა და მასთან დაკავშირე-

ბით სასამართლო პრაქტიკა არ არის კარგად განვითარებული. სახალხო დამცველის აპარატი ანტიდისკრიმინაციული კანონის შესაბამისად წარმოადგენს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად ინსტიტუტს. სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტი დისკრიმინაციის თემაზე ამზადებს ანგარიშს, საკონსტიტუციო სარჩელს, მონიტორინგს უწევს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულებას. შესაბამისად, სახალხო დამცველს დაგროვებული აქვს ცოდნა და ექსპერტიზა იმისთვის, რათა დაეხმაროს სასამართლოს დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით სწორი პრაქტიკის დამკვიდრებაში.

„სასამართლო მეგობრის“ ინსტიტუტი სასამართლოს სათანადო ინფორმირებულობას უზრუნველყოფს იმ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია. ქართული კანონმდებლობა „სასამართლო მეგობრის“ ინსტიტუტს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, ასევე, საერთო სასამართლოების დონეზე, სისხლის სამართლის საქმეებზე ითვალისწინებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კარგად წარმოაჩენს „სასამართლო მეგობრის“ ინსტიტუტის ძირითად ელემენტებს: 1) მოსაზრება უნდა წარადგინოს გარეშე პირმა, რომელიც არ წარმოადგენს საქმეში მხარეს, ან დაინტერესებულ პირს (უნდა გამოირიცხოს მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ); 2) მოსაზრებები უნდა შეეხებოდეს კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის მართებულად გადაჭრაში სასამართლოს დახმარებას, რომელიც კონკრეტულ საქმეში წამოიწია (მოსაზრებები უნდა უადვილებდეს სასამართლოს საქმეში წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტას).

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტით, სახალხო დამცველს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია შეასრულოს „სასამართლო მეგობრის“ ფუნქცია, როგორც საკონსტიტუციო, ისე საერთო სასამართლოებში. თუმცა, კანონში „საერთო სასამართლოები“ ზოგადად არის მითითებული, რაც შესაძლოა იმას გულისხმობდეს, რომ სახალხო დამცველი შეზღუდული არ არის, მხოლოდ სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის კატეგორიის საქმეებზე წარადგინოს მოსაზრებები. სახალხო დამცველი შესაძლოა უფლებამოსილი იყოს სამოქალაქო კატეგორიის დავებზეც წარადგინოს მოსაზრებები „სასამართლო მეგობრის“ რანგში, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აღნიშნულს პირდაპირ არ ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ომბუდსმენის მიერ სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარდგენას პირდაპირ არ ითვალისწინებს. კოალიციის წევრებს, სამოქალაქო საქმეებზეც (მაგალითად თ.ს. შ.რ.-ს წინააღმდეგ (გვ. 50) აქვთ წარდგენილი განცხადება სახალხო დამცველისთვის სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარმოდგენის თხოვნით. საქმე მოსამზადებელ ეტაპზეა და სახალხო დამცველს მოსაზრებები სასამართლოსთვის ჯერ არ წარუდგენია.

სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, სასამართლო მოსაზრების წარდგენის საკანონმდებლო რეგულირების შესახებ სახალხო დამცველმა ასევე წარადგინა საკანონმდებლო წინადადება. იურიდიულმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა აღნიშნულ ცვლილებას და მიუთითა, რომ აღნიშნული ინსტიტუტი ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას, ხოლო სასამართლოს შესაძლებლობა ექნება, გადაწყვეტილების მიღებისას უფრო მეტ წყაროს დაეყრდნოს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება დროულად უნდა შევიდეს ძალაში.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის შესახებ კანონის 21-ე მუხლი ომბუდსმენს შესაძლებლობას აძლევს, წარადგინოს სასამართლო მეგობრის მოსაზრება საერთო სასამართლოებში, მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებდეს ომბუდსმენის მიერ სასამართლოს მეგობრის მოსაზ-

რების წარდგენის შესაძლებლობას, რათა არ მოხდეს მოსამართლეთა მხრიდან სხვაგვარი ინტერპრეტაცია ან მოწინააღმდეგე მხარისგან აპელირება სასამართლო მეგობრის მოსაზრების დაუშვებლობის შესახებ.

მტკიცების ტვირთი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³ მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ ინფორმაცია და მტკიცებულებები ხშირ შემთხვევაში ინახება სწორედ იმ პირთან, ვინც განახორციელა დისკრიმინაცია, ხოლო დისკრიმინირებული პირისთვის ისინი არ არის ხელმისაწვდომი. ასეთ შემთხვევაში, მხარეების თანაბარ პირობებში ჩაყენება ერთ-ერთი მხარისათვის საზიანო იქნებოდა. ამიტომ გახდა საჭირო მტკიცების ტვირთის ისეთი გადანაწილება, როდესაც პირს, რომლის მიმართ არის მიმართული საჩივარი, ეკისრება ვალდებულება, ამტკიცოს, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. გარდა ამისა, დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის რთულია გაიგოს, რატომ დაექვემდებარა იგი დისკრიმინაციას, რა რეალური მიზეზი არსებობდა დისკრიმინაციული ქცევის განსახორციელებლად. დისკრიმინაციის ჩადენის რეალური მოტივი მხოლოდ იმ პირმა იცის, ვინც დისკრიმინაცია განახორციელა. გარდა ამისა, მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება არა მარტო საქართველოს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, არამედ სრულ შესაბამისობაში მოდის ევროკავშირის სამართალთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან. მიუხედავად მტკიცების ტვირთის შესახებ კანონში ჩანაწერის არსებობისა, სასამართლო ხშირად მტკიცების ტვირთს სწორედ მოსარჩელე მხარეს აკისრებს, შესაბამისად სასამართლოს პრაქტიკა კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ ვითარდება.

გ. ბ. ლ. გ.-ს წინააღმდეგ (გვ. 12) სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³ მუხლს მტკიცების ტვირთის გადატანის შესახებ, თუმცა მტკიცების ტვირთს მაინც მოსარჩელე მხარეს აკისრებს და მიუთითებს: ამრიგად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან დადასტურებულ იქნა მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, რომლის არსებობის უარსაყოფი საწინააღმდეგო მტკიცებულებები მოპასუხეს არ წარმოუდგენია“. იგივე მსჯელობა მეორდება საქმეში „ირაკლი კვარაცხელია ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ“ (გვ. 34).

სასამართლო მართალია, მიუთითებს მოწინააღმდეგე მხარისგან საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულების შესახებ, თუმცა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მხრიდან მოხდა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადასტურება. რეალურად, მოსარჩელეს მხოლოდ იმ ფაქტების და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება აქვს, რომლებიც დისკრიმინაციის ვარაუდის საფუძველს იძლევა. იგი არ არის ვალდებული, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი დაადასტუროს.

საქმეში „გიორგი ხაბურზანია ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ“ (გვ. 35), სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი და მიუთითა: „მტკიცების ტვირთი, ამ შემთხვევაში, დამსაქმებელს ეკისრება, კერძოდ, თუ დასაქმებული უთითებს, რომ მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დისკრიმინაციული ქმედება იყო, სწორედ დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს საკუთარი ნების გამოვლენის მართლზომიერება და გათავისუფლების არადისკრიმინაციული საფუძვლის არსებობა“.

ზემოთმოყვანილი ამონარიდები მოწმობს, რომ სასამართლო მიუთითებს სამართლებრივ ნორმას მტკიცების ტვირთის შესახებ, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთს მაინც სრულად აკისრებს მოსარჩელე მხარეს. მნიშვნელოვანია, მოსამართლეებმა გაითვალისწინონ დისკრიმინაციის საქმეებში მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციფიკური ხასიათი და მოხდეს სასამართლო პრაქტიკის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაბამისი განვითარება.

დისკრიმინაციული შევიწროება

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ არ ითვალისწინებს შევიწროებას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას და არ განმარტავს მას. შევიწროების შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით მსხვერპლის უფლებების დაცვა, მხოლოდ ანტიდისკრიმინაციული კანონის მეორე მუხლის საფუძველზეა შესაძლებელი, რომელიც საქართველოში ყველა სახის დისკრიმინაციას კრძალავს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და ევროკავშირის დირექტივები (2000/43/EC; 2004/113/EC; 2006/54/EC) შევიწროებას დისკრიმინაციის სპეციფიკურ ფორმად განიხილავს, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. იქიდან გამომდინარე, რომ პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის მტკიცებისას საჭიროა შესაძარბებელი სუბიექტის არსებობა, შევიწროების დროს კი ასეთი სუბიექტი არ არსებობს, ფაქტებზე ეფექტური რეაგირების მიზნით საჭიროა, არსებობდეს დისკრიმინაციული შევიწროების საკანონმდებლო რეგულაცია.

საქმეში „თ.ს. შ.რ.-ს წინააღმდეგ“ (გვ. 50), ადგილი ჰქონდა მსხვერპლის სექსუალურ შევიწროებას. იმის გამო, რომ არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, შესაძლოა, ვერ მოხდეს მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანის კომპენსაცია და სარჩელის დაკმაყოფილება. ჯერჯერობით უცნობია, როგორ განვითარდება სასამართლო პრაქტიკა და ჩაითვლება თუ არა შევიწროება დისკრიმინაციის სახედ, თუმცა აღნიშნული რეგულირების არარსებობა არის საკანონმდებლო ხარვეზი და მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვროს დისკრიმინაციული შევიწროების დეფინიცია.

რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებებს

რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363⁴ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა გაიზარდოს 3 თვიდან 1 წლამდე.
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VII⁹ თავში ჩაინეროს ნორმა დისკრიმინაციის საქმეებზე დაინტერესებული პირების და ორგანიზაციების მხრიდან „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის შესახებ.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363² მუხლს დაემატოს ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა ავტომატურად იწვევდეს მორალური ზიანის არსებობას.
4. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვროს შევიწროება, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა.

რეკომენდაციები საერთო სასამართლოებს

1. „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე, დავებში მხედველობაში მიიღონ სახალხო დამცველის „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრება.
2. დისკრიმინაციის დავების განხილვისას, გამოიყენონ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³ მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის სტანდარტი.
3. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისას, ავტომატურად დადასტურდეს მორალური ზიანის არსებობა, დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე.
4. ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე, დავის განხილვისას, უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის საკითხები განხილულ იქნას ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ და არ მოხდეს ამ საკითხების სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისთვის გადაგზავნა.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლას

სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოლეგიის ყველა მოსამართლეს ჩაუტარდეს ტრენინგები დისკრიმინაციის თემაზე. მოსამართლეებისთვის განკუთვნილი მოდული სასურველია, მოიცავდეს მტკიცების ტვირთის, მორალური ზიანის განსაზღვრის და დისკრიმინაციის საქმეებზე საგნობრივი განსჯადობის თემებს.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



კორუპცია თანასწორობისთვის